ასევე დანერგულია ზრდის ჰორმონის გამოყენება აქონდროპლაზიის მქონე პაციენტებში, თუმცა ამ უკანასკნელის გამოყენების ეფექტურობა საკამათოა, არ არსებობს მონაცემები, რომელიც დაადასტურებს, რომ ზრდის ჰორმონის გამოყენებას პაციენტის ზრდასრულობის ასაკის სიმალლეზე ან აქონდროპლაზიის სხვა გამოვლინებებზე ეფექტური შედეგი აქვს. პაციენტები, რიგ შემთხვევებში, ირჩევენ კიდურების დაგრძელების ოპერაციას, მაგალითისათვის, ქვედა კიდურების დაგრძელების შედეგად შესაძლებელია 15-30 სანტიმეტრის მომატება. შესაძლებელია ასევე მხრის ძვლის დაგრძელება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პაციენტებისათვის, რომელთა ზედა კიდურის ზომებიც პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი აქტივობების დამოუკიდებლად ჩატარებას შეუძლებელს ხდის, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ კიდურების დაგრძელების ოპერაცია ინვაზიური პროცედურაა და გრძელვადიანი გამოჯანმრთელების პერიოდი აქვს.

2021 წლიდან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა წარმატებით დაარეგისტრირეს და დანერგეს ვოზორიტიდინის გამოყენება აქონდროპლაზიის მქონე ბავშვებში. ვოზორიტიდინი ენქონდრული ოსტეოგენეზის სტიმულატორია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დამტკიცებულია აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტად 5 წლის ასაკიდან, ევროპის კავშირის ქვეყნებში იგივე მედიკამენტი 2 წლის ასაკიდან გამოიყენება, ხოლო იაპონიაში წამალს დაბადებიდანვე მოიხმარენ. მედიკამენტის გამოყენება ეფექტურია იმ დრომდე, სანამ პაციენტს აპოფიზური ფირფიტა აქვს.

ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორი 3-ის გენის მუტაცია აქონდროპლაზიის მქონე პაციენტებში იწვევს ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორ რეცეპტორ 3-ის (FGFR3) გააქტიურებას, რაც თრგუნავს ქონდროციტების პროლიფერაციას ეპიფიზურ ფირფიტაში, რაც ამ უკანასკნელის ზომაში შემცირებას იწვევს, ეს კი თავის მხრივ ძვლის დაგრძელების შემცირებულ მაჩვენებელში აისახება და ადამიანი ჩამორჩება ძვლის ზრდის სტანდარტულ მაჩვენებელს.

ვოზორიტიდი იწვევს ფიბრობლასტების ზრდის მარეგულირებელი გენის აქტივობის დაქვეითებას და შესაბამისად ძვლის ზრდის სტიმულაციას. უფრო კონკრეტულად, აღნიშნული მედიკამენტი არის C-ტიპის ნატრიურეტიული პეპტიდის ანალოგი, რომელიც წარმოადგენს ორი ამინომჟავას დამატების გზით მოდიფიცირებულ რეკომბინანტულ C ტიპის ნატრიურეტიულ პეპტიდს. ებმის რა ვოზორიტიდი ნატრიურეტიული პეპტიდის რეცეპტორ B-ს (NPR-B), იწვევს FGFR3-ის გააქტიურების შედეგად წარმოქმნილი კასკადის ინჰიბირებას, შესაბამისად ხელს უწყობს ძვლის ზრდას და აუმჯობესებს დაავადების სიმპტომებს.

წამლის დასარეგისტრირებლად ვოზორიტიდის უსაფრთხოება და ეფექტურობა შეფასდა ერთ წლიანი **ორმაგად ბრმა**, პლაცებო კონტროლირებული მესამე ფაზის კვლევით, რომელშიც 121 მონაწილე შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდა პლაცებოსა და მედიკამენტის 2 ჯგუფში, ცდის ყველა მონაწილე იყო 5 წლის ან მეტი ასაკის და ჰქონდა ეპიფიზური ფირფიტა. ცდის მონაწილეები, რომელთაც ვოზორიტიდი მიიღეს, საშუალოდ წელიწადში 1.57 სანტიმეტრით მეტად გაიზარდნენ პლაცებო ჯგუფის წევრებთან შედარებით.

კვლევის მონაწილეებში წამლის მიმართ გამოვლინდა კარგი ტოლერანტობა, არ დაფიქსირებულა არცერთი ლეტალური შემთხვევა, ყველაზე ხშირი გვერდითი ეფექტი იყო რეაქცია ინექციის ადგილზე, პაციენტები ასევე უჩიოდნენ გულის რევას და ჰიპოტენზიას, თუმცა წამლის ყველა გვერდითი ეფექტი იყო უმნიშვნელო და დროის მცირე პერიოდის ფარგლებში მოგვარებადი. წამლის მიღების შეწყვეტა არცერთ შემთხვევაში არ გამოხატა საჭირო. წამალს პაციენტებში არ გამოუწვევია ძვლოვანი სისტემის არაპროპორციულობის გაღრმავება, მედიკამენტთან პოტენციურად ასოციაციამი არ დაფიქსირებულა ძვლის დეფორმაციის წარმოშობა, სპინალური სტენოზი, მოტეხილობები, ოსტეონეკროზი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/32644689/>
<https://www.fda.gov/news-events/press-announcements/fda-approves-first-drug-improve-growth-children-most-common-form-dwarfism>
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6318916/>
<https://clinicaltrials.gov/ct2/show/record/NCT02055157?term=BioMarin&cond=Achondroplasia&draw=2&rank=7>
<https://publications.aap.org/pediatrics/article/145/6/e20201010/76908/Health-Supervision-for-People-With-Achondroplasia?autologincheck=redirected>
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6958518/>
<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/34431071/>
https://www.accessdata.fda.gov/drugsatfda_docs/nda/2021/214938Orig1s000IntegratedR.pdf?fbclid=IwAR2wYGW_YGM0Efrz9cDFEjy5RaX_5NWBnBJYbgNPuflMiHb2iIu1_9Wpk
https://www.accessdata.fda.gov/drugsatfda_docs/nda/2021/214938Orig1s000IntegratedR.pdf?fbclid=IwAR2wYGW_YGM0Efrz9cDFEjy5RaX_5NWBnBJYbgNPuflMiHb2iIu1_9Wpk
[https://www.gimopen.org/article/S2949-7744\(23\)00222-4/fulltext#secsectitle0010](https://www.gimopen.org/article/S2949-7744(23)00222-4/fulltext#secsectitle0010)
<https://www.ema.europa.eu/en/medicines/human/EPAR/voxxogo>
https://www.ema.europa.eu/en/documents/assessment-report/voxxogo-epar-public-assessment-report_en.pdf

რეზიუმე

აქონდროპლაზია და ახალი მედიკამენტი ბავშვებისათვის

ანა გოგოსაშვილი
(თბილისი, საქართველო)

აქონდროპლაზია დვორფიზმის ყველაზე უფრო ხშირ გამოვლინებას წარმოადგენს და შემთხვევათა 90%-ს მოიცავს. აქონდროპლაზიას იწვევს გენეტიკური მუტაცია FGFR3 გენში. 2021 წლამდე არ არსებობდა სპეციფიკური მკურნალობა, თუმცა ამჟამად არსებობს ახალი მედიკამენტი ვოზორიტიდი, ეს უკანასკნელი პირველი თერაპევტული საშუალებაა, რომელიც დაავადების გამომწვევ მიზეზს მოლეკულურ დონეზე უმინებს. ვოზორიტიდი C ტიპის ნატრიურეტიული პეპტიდის ანალოგია. ნამალი ხრტილოვანი უჯრედების ზრდას იწვევს, რასაც შესაბამისად ძვლის ზრდა მოსდევს.

SUMMARY

ACHONDROPLASIA AND NEW MEDICINE FOR CHILDREN

ANA GOGOSASHVILI
(Tbilisi, Georgia)

Achondroplasia is the most common skeletal dysplasia found in humans, accounting for 90% of cases of disproportionate short stature. **Achondroplasia** is caused by **genetic** changes in the **FGFR3 gene**. There was no specific treatment for achondroplasia. New Drug Vosoritide is the first therapeutic option that targets the molecular cause of the diagnosis. Vosoritide is in a class of medications called C type natriuretic peptide (CNP) analogs. It works by increasing cartilage cell growth which results in increased bone growth.

პრაქტიკოსი ექიმებისათვის
Practicing Physicians

ლაქტოზის აუტანლობა და ლაქტოზის მალაბსორბცია:
კლინიკური მანიფესტაცია, დიაგნოზი და მართვა

მ.დ. ციციშვილი ფარულავა,
მ.დ. მანია ჩხაიძე, ია ხურცილავა

ლაქტოზის აუტანლობა საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა. ლაქტოზის აუტანლობაში იგულისხმება კლინიკური სიმპტომების გამოვლენა (მუცლის ტკივილი, მეტეორიზმი, დიარეა) რძის და რძის პროდუქტების მიღების შემდეგ. მიზეზი წვრილ ნაწლავის ფერმენტის ლაქტაზის დეფიციტია, რომელიც უხშირესად ნაწლავის ლორწოვანის დაზიანების შედეგია, გაცილებით იშვიათად კი გენეტიკურად დეტერმინირებული ფერმენტ ლაქტაზ-ფლორიზინ ჰიდროლაზის (ლაქტაზა) არარსებობას ან დეფიციტს უკავშირდება.

ლაქტოზის აუტანლობა პირველად აღწერა ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ 2500 წლის წინ. 1906 წელს Pinner-მა აღმოაჩინა ენზიმი ლაქტაზა და დაადგინა, რომ მოზრდილი ცხოველების ნაწლავებში ამ ენზიმის რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. 1959 წელს მეცნიერებმა Durand და Holzei აღწერეს თანდაყოლილი ლაქტაზური დე-

ფიციტი. 1966-1968 წლებში დაფიქსირდა ასოციაცია ეთნიკურ წარმომავლობასა და ლაქტოზის აუტანლობას შორის (Bayless, Rosenweig, Neale), ხოლო 1970 წელს დაზუსტდა პათოგენეზური მექანიზმი, კერძოდ გენური მუტაცია, რომელსაც უკავშირდება ენზიმ ლაქტაზ-ფლორიზინ ჰიდროლაზის დეფიციტი. 1978 წელს ლაქტოზის აუტანლობის სადიაგნოსტიკოდ Levitt-მა პირველად გამოიყენა სუნთქვის ტესტი.

ტერმინოლოგია

ლაქტაზის დეფიციტი - ინტესტინური ენზიმის ლაქტაზის დაბალი აქტივობა/დეფიციტი ჯანმრთელ ინდივიდებთან შედარებით.

ლაქტოზის აუტანლობა - კლინიკური სინდრომი, როცა ლაქტოზის მიღება იწვევს მუცლის ტკივილს, გულისრევას, მეტეორიზმს და დიარეას. ლაქტოზის აუტანლობა შესაძლებელია არ უკავშირდებოდეს ლაქტოზის მალაბსორბციას.

ლაქტოზას მალაბსორბცია - მიღებული ლაქტოზას ნვრის ნაწილში აბსორბციის პრობლემა. შესაძლებელია ვლინდებოდეს ლაქტოზის აუტანლობის კლინიკური ნიშნებით, თუმცა ეს აუცილებელი არ არის.

ეპიდემიოლოგია

ლაქტოზის აუტანლობის ეპიდემოლოგია არ არის სრულყოფილი, რადგან გავრცელების სიხშირის შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მეთოდებით ხდება.

ფერმენტ ლაქტაზას დეფიციტი გვხვდება მთელს მსოფლიოში ყველა რასის და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში. ევროპის ქვეყნებში შედარებით იშვიათია და ყველაზე მაღალი სიხშირით გვხვდება ფინელებში. შედარებით ხშირია აზიასა და აფრიკაში. აფრიკის კონტიგენტზე გავრცელება რამდენადმე მაღალია სამხრეთ ნიგერიაში, ბანტუში. აშშ-ის მოსახლეობაში სიხშირე გაცილებით მაღალია აფროამერიკელებში, ესპანურენოვან, აზიური წარმოშობის პოპულაციებში და ინდიელებში.

მკვლევარები მიუთითებენ მზარდ სიხშირეზე >6 წელზე ასაკში.

პათოფიზიოლოგია

ლაქტოზა ადამიანის და ძუძუმწოვრების რძის ნაწყვენი დისაქარიდია. ქალის რძეში მისი რაოდენობა 7%-ია, ცხოველების რძეში 5%-მდე. ახალშობილებსა და ჩვილებში ეს ნახშირწყალი დღიური კალორების 35-55%-ს შეადგენს და ენერჯის მთავარი წყაროა. გარდა ამისა ის არეგულირებს გლუკოზის დონეს სისხლში, აძლიერებს კალციუმის აბსორბციას. დროულ ახალშობილს შეუძლია 60-70 გრამი ლაქტოზას მონელება, რაც ერთი ლიტრი რძის ექვივალენტურია. ნახევრად მყარი და მყარი საკვების რაციონში ჩართვის შემდეგ მისი მიღება მცირდება. მოზრდილ ასაკში რძე და რძის პროდუქტები აღარ ითვლება მთავარ საკვებად.

დისაქარიდი ლაქტოზა ჰოდროლიზს ექვემდებარება ნვრის ნაწილში ფერმენტ ლაქტაზას მეშვეობით და წარმოიქმნება გლუკოზა და გალაქტოზა. ამ მონოსაქარიდების აბსორბციაში მონაწილეობს ნატრიუმ-დამოკიდებული გლუკოზა Na⁺/glucose cotransporter. ლაქტოზას ის ნაწილი, რომელიც არ აბსორბირდება ნვრის ნაწილში ხვდება მსხვილ ნაწილში. აქ განიცდის ბაქტერიულ ჰიდროლიზს, რომლის შედეგად წარმოიქმნება მოკლე-ჯაჭვიანი ცხიმოვანი მჟავები, აცეტატი, ბუტირატი, პროპიონატი და წყალბადი. ლაქტოზას აქვს პრებიოტური ეფექტი ნაწილის ფლორისთვის, კერძოდ ბიფიდობაქტერიებისთვის, რაც პირდაპირ კავშირშია იმუნურ დაცვასთან და ატოპიასთან ნაწილის კედლის განვლადობაზე შემოქმედების გამო.

პირებში ლაქტოზის მალაბსორბციით მიღებული ლაქტოზას 75% გადადის კოლინჯში. ფერმენტაციის პროდუქტების დიდი რაოდენობით დაგროვება იწვევს ნაწილის გადაბერვას და გასტროენტეროლოგიურ მანიფესტაციას. პირებში ლაქტაზის დაქვეითებული აქტი-

ობით მსხვილი ნაწილის მიკროფლორა ნელ-ნელა ადაპტირდება ამ მდგომარეობასთან და ორგანიზმი დაახლოებით 50 გრამი ლაქტოზას ათვისებს ახერხებს, თუმცა მეტი რაოდენობა მიღება იწვევს დისკომფორტს. აქედან გამომდინარე ლაქტოზას მალაბსორბცია დოზა დამოკიდებული პრობლემაა.

ეტიოლოგია

არსებობს ლაქტოზის აუტანლობის ოთხი ვარიანტი:

● **პირველადი, შექნილი იგივე მოზრდილთა ტიპის ჰიპოლაქტაზია** ყველაზე ხშირია. ეს ვარიანტი უვლინდება მოსახლეობის 70%-ს. კვლევებმა აჩვენა, რომ ფერმენტ ლაქტაზას მაცხიმაღური პროდუქცია ხდება 2 წლამდე ასაკში. ასაკის მატებასთან ერთად ამ ფერმენტის რაოდენობა ფიზიოლოგიურად მცირდება. მსოფლიოს პოპულაციის უდიდეს ნაწილს ლაქტაზას შემცირებული მაჩვენებლები უკვე სკოლამდე ასაკში უფიქსირდება. ინდონეზიაში სიმპტომური ჰიპოლაქტაზია უვლინდება 3 წლის ასაკში 9.1%-ს, 5 წლის ასაკში 28, 6%-ს, 12-14 წლისთვის 73%-ს. მოზრდილებში ლაქტოზის შემცველი პროდუქტების შემცირებული რაოდენობით მიღება (2 ჭიქა რძის ექვივალენტი) არ იწვევს დისკომფორტს.

● **თანდაყოლილი ლაქტაზური დეფიციტი.** იშვიათი აუტოსომურ-რეცესიული დარღვევაა. ასეთ შემთხვევაში დიარეა იწყება დაბადებიდან დედის რძის მიღებისთანავე და შემდგომში ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება ჰიპერკალციემია და ნეფროკალცინოზი. სხვა დისაქარიდაზები ნორმის ფარგლებშია. ეს ვარიანტი ყველაზე ხშირია ფინეთში. დღეს უკვე ცნობილია, რომ ლაქტაზას პროდუქციაზე პასუხისმგებელია მეორე ქრომოსომის გენი 2q21 (LCT გენი) და რომ მუტაცია გადაეცემა აუტოსომურ-დომინანტური გზით. რეკომენდებულია ასეთი ახალშობილების ჰიპოლაქტაზური ფორმულით კვება.

● **განვითარების იგივე გესტაციური ჰიპოლაქტაზია.** ტიპურია დღენაკლებისთვის. ნაყოფი ამ ფერმენტის გამოშვებას იწყებს გესტაციის გვიან ვადებზე, შესაბამისად 28-32 კვირის გესტაციის ახალშობილებს ლაქტაზას დაბალი აქტიობა უფიქსირდებათ. ეს ბავშვები სხვა მხრივ ჯანმრთელები არიან და საჭიროებენ ლაქტოზას დროებით შეზღუდვას.

● **მეორადი (ტრანზიტორული) ლაქტოზის მალაბსორბცია.** ვითარდება ინტესტინური დაავადებების ფონზე. კერძოდ :

◆ ინფექციური გასტროენტერიტი (როტავირუსი, გიარდიაზი)

◆ წვრილი ნაწილის ბაქტერიული მოთესვის სინდრომი

◆ ცელიაკია

◆ ნაწილის აუტოიმუნური დაავადებები (კრონის დაავადება, ნეკროლიზი კოლიტი)

◆ დიაბეტური გასტროპათია

◆ რადიაციული გასტროპათია

◆ კვების ქრონიკული მოშლა (კვაშიორკორი)

◆ ზოლინგერ-ელისონის სინდრომი

◆ უიპლის დაავადება (ინტესტინური ლიპოდისტროფია)

- ◆ მედიკამენტოზური (იატროგენული) ენტერიტი
- ◆ კარცინოიდი

ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ ფერმენტი ლაქტაზა სხვა დისაქარიდაზებისგან განსხვავებით პირველ რიგში რეაგირებს წვრილი ნაწლავის ლორწოვანის დესქვამაციაზე, რადგან ეს ფერმენტი ფუნქციონირებს მიკროხაობის ყველაზე დისტალურად განლაგებულ ენტეროციტებში. რეკომენდებულია რძის და რძის პროდუქტების შეზღუდვა რაციონში 4-6 კვირის განმავლობაში.

კლინიკური მანიფესტაცია

პაციენტები ლაქტოზის მალაბსორციით უხშირესად ასიმპტომური არიან. მხოლოდ დიდ რაოდენობით ლაქტოზას შემცველი პროდუქტების მიღება მალაბსორციის მქონე პირებში იწვევს ლაქტოზის აუტანლობის კლინიკურ მანიფესტაციას: აბდომინური ტკივილს, შებერილობას, მეტეორიზმს და დიარეას. ზოგჯერ, უფრო ხშირად მოზარდებში, ახლავს ლებინებაც. მუცლის ტკივილი მოვლითი ხასიათისაა, პერიუმბილიკალური ან ლოკალიზდება მუცლის ქვედა ნახევარში. ფეკალიები ხდება თხელი კონსისტენციის, ცხიმოვანი, აფუებული. გასინჯვის დროს შეიგრძნობა ნაწლავების ყურყური. ზოგჯერ არის კანის ქავილი და ექსკორიაციაც.

ლაქტოზას იზოლირებული მალაბსორცია, თუ მას არ ახლავს სხვა ნახშირწყლების მონელების პრობლემა ან სხვა დაავადება (ცელიაკია, გალიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ნაწლავის ანთებითი დაავადება) ჩვეულებრივ არ იწვევს წონის კარგვას და ნუტრიციულ დეფიციტს.

შორეული გართულებებია: მალნუტრიცია, ოსტეომალაცია, ოსტეოპენია და ოსტეოპოროზი

როდის მივიტანოთ ეჭვი ლაქტოზის აუტანლობაზე?

ეჭვი ჩნდება მაშინ, როცა რძის და რძის პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღებიდან რამდენიმე საათში ვლინდება კლინიკური სიმპტომები, ხოლო ამ პროდუქტების რაციონიდან ამოღების შემდეგ 5-7 დღეში ხდება მათი რეზოლუცია. პაციენტებს მძიმე სიმპტომებით, ქრონიკული დიარეით ან განგაშის ნიშნებით ესაჭიროებათ დამატებითი კვლევები სხვა ორგანული პათოლოგიის გამორიცხვის მიზნით.

- ◆ განგაშის ნიშნებია:
- ◆ ასაკი >50 წელზე
- ◆ რექტალური სისხლდენა ან მელენა
- ◆ მუცლის ტკივილი ღამის საათებში ან დიარეა
- ◆ მუცლის ტკივილის პროგრესული ხასიათი
- ◆ აუხსნელი წონის კარგვა, ცხელება ან სხვა სისტემური ჩივილები
- ◆ ლაბორატორიული ცვლილებები (რკინადეფიციტური ანემია, C რეაქტიული პროტეინის ან ფეკალური კალპროტექტინის მომატებული მაჩვენებლები)
- ◆ დამძიმებული ოჯახური ანამნეზი (ნაწლავის ანთებითი დაავადებები, კოლორექტალური სიმსივნე

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა.

1. ლაქტოზას მალაბსორციის დროს არააბსორბირებადი ნახშირწყლების ბაქტერიული ფერმენტაციის შედეგად განავლის osmotic gap >125 mOsm/kg და pH <6. ეს ცვლილებები არ არის სპეციფიური და ვლინდება ნებისმიერი ნახშირწყლის მალაბსორციის, ვილოზური ატროფიის და პანკრეასის უკმარისობის დროს, ამიტომ ეს კვლევა არ ითვლება ინფორმატიულად.

2. სუნთქვის (წყალბადის) ტესტი. არაინვაზიური, მაღალსპეციფიური (98%) და სენსიტიური (78%) ტესტია. იზომება წყალბადი ამოსუნთქულ ჰაერში მშვიდზე და წყალში გახსნილი ლაქტოზის მიცემის შემდეგ ყოველ ნახევარ საათში 3-5 საათის განმავლობაში (ლაქტოზის დოზა მოზრდილებში 25-50გრამი, ბავშვებში 0, 5-2გ/კგ მაქს. 25-50 გრამი).

3. ბოყინის და მუცლის ტკივილის მანიფესტაცია ფასდება 0-5 ქულით. კვლევის პროცესში 2 ქულით ნამატი ფასდება დადებით შედეგად. პიკური გამოვლინებები არის 90-120 წუთზე.

4. ცრუ დადებითი პასუხის მიღების რისკის შესამცირებლად რეკომენდებულია წინა საღამოს პაციენტს არ ჰქონდეს მიღებული კომპლექსური ნახშირწყლები (პური, მაკარონი, უჯრედისი), წინა 12 საათის განმავლობაში ლაქტოზას შემცველი პროდუქტები, წინა 4 კვირის განმავლობაში ანტიბიოტიკები.

5. ლაქტოზის ტოლერანტობის ტესტი. ეს ტესტი ნაკლებად მგრძობიარეა სუნთქვის ტესტთან შედარებით, განსაკუთრებით მოზრდილებში. ლაქტოზის აბსორციის შეფასება ხდება შრატის გლუკოზის განსაზღვრით 0, 60 და 120 წუთზე ლაქტოზის ორალურად მიღების შემდეგ. დადებითად ფასდება, თუ ვლინდება კლინიკური ნიშნები და გლუკოზის მაჩვენებელი <20მგ/დლ-ით (1.1მმოლ/ლ) იმატებს. დიაგნოსტის შემთხვევაში ტესტი იძლევა ცრუ უარყოფით შედეგებს.

6. გაქსილოზას ტესტი. სისხლის შრატში და შარდში D-ქსილოზას დონის მატება ლაქტოზას სინთეზური ანალოგის 4 გალაქტოზილქსილოზას (Gaxilose) ორალური ადმინისტრაციის შემდეგ. ჯანმრთელ ადამიანებში გაქსილოზა ნაწლავის ლაქტოზას ზეგავლენით იშლება გალაქტოზად და D-ქსილოზად, ეს უკანასკნელი ექვემდებარება პასიურ აბსორციას წვრილ ნაწლავებში და მისი დონე იმატებს შემდგომი 5 საათის განმავლობაში. ჰიპოლაქტაზიის შემთხვევაში ეს პროცესი ირღვევა. ტესტის სპეციფიურობა და სენსიტიურობა 92%-ია.

7. წვრილი ნაწლავის ბიოფსია. ჰისტოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ფერმენტ ლაქტაზის აქტიობის შეფასება და პირველადი და მეორადი ლაქტაზური მალაბსორციის დიფერენცირება. ოქროს სტანდარტია, მაგრამ კლინიკური დატვირთვა ნაკლები აქვს, რადგან ინვაზიური მეთოდია და თანაც ალბუმი უნდა იყოს მასალა ყოველთვის არ ასახავს რეალობას ნაწლავის შესაძლო სეგმენტური დაზიანების გამო.

8. გენეტიკური ტესტირება გამოიყენება მხოლოდ შერჩევითად კონკრეტულ პოპულაციაში პირველადი ლაქტაზური დეფიციტის გამოსავლენად

ლიფრენციული დიაგნოზი

ლაქტაზური მალაბსორციის კლინიკური სიმპტომები არასპეციფიურია, ამიტომ ძალიან ჰგავს ოსმოსური დიარეით მიმდინარე სხვა დაავადებებს და რძის სხვა კომპონენტების აუტანლობას. ამიტომ რეკომენდებულია ანამნეზის სკრუპულოზური შეკრება, საკვები რაციონის დაზუსტება და სუნთქვის ტესტი სხვა ნახშირწყლებზეც. მაგალითად, ანალოგიური კლინიკური ჩივილები აქვს სორბიტოლის (კომერციული ტკბილი სასმელები), ფრუქტოზის (ხილი), უჯრედისის ჭარბად მომხმარებელს, სხვა მონოსაქარიდების აუტანლობის ან გალიზიანებული ნაწლავის სინდრომის მქონე პირს.

ჩივლებში თუ ლაქტოზის ელიმინაციიდან 1-2 კვირაში მდგომარეობა არ უმჯობესდება, უნდა ვივარაუდოთ რძის ცილის აუტანლობა.

წვრილი ნაწლავის ბაქტერიული მოთესვის სინდრომის დროს ტიპურია ნახშირწყლების ბაქტერიული ფერმენტაცია წვრილ ნაწლავში, ასეთ დროს კლინიკური მანიფესტაცია იდენტურია, მაგრამ სუნთქვის ტესტი წყალბადის პიკურ მაჩვენებელს გაცილებით ადრე (15-30 წუთი) ავლენს.

მართვა

მართვის მიზანია კლინიკური სიმპტომების ელიმინაცია ისე, რომ არ განვითარდეს კალციუმის და D ვიტამინის დეფიციტი.

მკურნალობის წამყვანი მეთოდია ელიმინაციური დიეტა. ვინაიდან ლაქტოზის აუტანლობა დოზა დამოკიდებული ფენომენია, პაციენტების მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება ლაქტოზის ნაწილობრივ შეზღუდვით. ინდივიდებს ლაქტოზას პირველადი ან თანდაყოლილი მალაბსორციით გარკვეული რაოდენობით შეუძლიათ რძის პროდუქტების ათვისება, ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ტოლერანტობა. ელიმინაციური დიეტა მძიმე პაციენტებში შესაძლებელია დავინყოთ ლაქტოზის სრული რესტრიქციით და შემდეგ ჩავერთოთ თანდათან, ლაქტოზის მიმართ ტოლერანტობის შესაბამისად. პირველ რიგში რაციონში უნდა ჩაირთოს რძის ის პროდუქტები, რომლებშიც ლაქტოზას შემცველობა დაბალია. ლაქტოზას ყველაზე მაღალი შემცველობა აქვს რძეს, შედეგებულ რძეს და ნაყინს, რძემყავა პროდუქტებში და ყველში შემცველობა შედარებით დაბალია. ცხიმის მაღალი შემცველობა რძის პროდუქტებში ანელებს კუჭის დაცლას, ამიტომ ლაქტოზას მოხვედრა წვრილ ნაწლავში თანდათან ხდება, შესაბამისად ცხიმის შეზღუდვა არ არის სწორი.

ლაქტოზას შეიცავს ზოგიერთი მედიკამენტი, თუმცა შემცველობა იმდენად დაბალია, რომ მისი შეზღუდვა არ არის აუცილებელი.

ზოგჯერ გამართლებულია ჩანაცვლებითი თერაპია. არსებობს პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ენზიმ ლაქტაზას, მათი მიღება რამდენადმე ამცირებს დისკომფორტს, მაგრამ ვერ ხსნის დიეტური რეკომენდაციების დაცვის აუცილებლობას.

ელიმინაციური დიეტის ფონზე აუცილებელია კალციუმის და D ვიტამინის მონიტორინგი და პერიოდულად

ლად ადმინისტრირება. მოზარდებში და მოზრდილებში რეკომენდებულია კალციუმის მიღება 1200 მგ დღე-ღამეში. ბავშვებში დოზირება ხდება ასაკის მიხედვით. ცელიაკის და კრონის დაავადების მქონე პირებში რეკომენდებულია ამ დანამატების მიღება ხანგრძლივად.

ლიტერატურა:

1. Aragon JJ, Hermida C, Martinez-Costa OH et al. Noninvasive diagnosis of hypolactasia with 4-Glactosylxylose (Gaxilose). *J Clin Gastroenterol* 2014; 48:29
2. Dzialanski Z, Barany M, Engfeldt P, et al. Lactase persistence versus lactose intolerance: Is there an intermediate phenotype? *Clin Biochem* 2016; 49:248.
3. Enattah NS, Sahi T, Savilahti E, et al. Identification of a variant associated with adult-type hypolactasia. *Nat Genet* 2002; 30:233.
4. F. Fassio · M. Facioni · F. Guagnini · Lactose Maldigestion, Malabsorption, and Intolerance: A Comprehensive Review with a Focus on Current Management and Future Perspectives. **Nutrients** 2018, 10(11):1599.
5. Gasbarrini A, Corazza GR, Gasbarrini G, et al. Methodology and indications of H2-breath testing in gastrointestinal diseases: the Rome Consensus Conference. *Aliment Pharmacol Ther* 2009; 29 Suppl 1:1.
6. Gijsbers CF, Kneepkens CM, Büller HA. Lactose and fructose malabsorption in children with recurrent abdominal pain: results of double-blinded testing. *Acta Paediatr* 2012 101(9): e 411-5
7. Hovde O, Farup PG. A comparison of diagnostic tests for lactose malabsorption—which one is the best?. **BMC Gastroenterol.** 2009; 9:82.
8. Levitt M, Wilt T, Shaukat A. Clinical implications of lactose malabsorption versus lactose intolerance. *J Clin Gastroenterol* 2013; 47:471.
9. Misselwitz B, Butter M, Verbeke K, Fox MR. Update on lactose malabsorption and intolerance: pathogenesis, diagnosis and clinical management. *Gut* 2019; 68:2080.
10. Medeiros LC, Lederman HM, de Moraes MB. Lactose malabsorption, calcium intake, and bone mass in children and adolescents. **J Pediatr Gastroenterol Nutr.** 2012 54(2):204-9.
11. Zhu Y, Zheng X, Cong Y, et al. Bloating and distention in irritable bowel syndrome: the role of gas production and visceral sensation after lactose ingestion in a population with lactase deficiency. *Am J Gastroenterol* 2013; 108:1516.
12. Yang J, Deng Y, Chu H, et al. Prevalence and presentation of lactose intolerance and effects on dairy product intake in healthy subjects and patients with irritable bowel syndrome. *Clin Gastroenterol Hepatol* 2013; 11:262.
13. Wilder-Smith CH, Materna A, Wermelinger C, Schuler J. Fructose and lactose intolerance and malabsorption testing: the relationship with symptoms in functional gastrointestinal disorders. **Aliment Pharmacol Ther.** 2013 37(11):1074-83
14. Setty-Shah N, Maranda L, Candela N, Fong J, Dahod I, Rogol AD. Lactose intolerance: lack of evidence for short stature or vitamin d deficiency in prepubertal children. **PLoS One.** 2013. 8(10):e78653

რეზიუმე

ლაქტოზის აუტანლობა და ლაქტოზის მალაბსორცია: კლინიკური მანიფესტაცია, დიაგნოზი და მართვა

მ.დ. ტიცინო ფარულავა, მ.დ. მაია ჩხაიძე, ია ხურცილავა

ხშირია ლაქტოზას შემცველი საკვების შეუწყნარებლობა. იგი აღწერილია მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანებში.

ლაქტოზას შეუწყნარებლობის სიმპტომებია მუცლის ტკივილი, მეტეორიზმი, შებერილობა და დიარეა რძის ან რძის შემცველი პროდუქტების მიღების შემდეგ. ეს სიმპტომები შეიძლება ასოცირებული იყოს ლაქტოზას მალაბსორბციასთან, რაც გამოწვეულია წვრილი ნაწლავის ლაქტაზას დაბალი დონით, მაგრამ ასევე წარმოიქმნება აშკარა მალაბსორბციის გარეშე. ლაქტაზას დეფიციტის გავრცელება დაბალია ექვს წლამდე ასაკის ბავშვებში და იზრდება ასაკთან ერთად, მაგრამ ბავშვებს ხშირად აქვთ მეორადი ჰიპოლაქტაზია ნაწლავის ძირითადი დაავადებების გამო.

ჩვენ განვიხილავთ ლაქტოზას შეუწყნარებლობისა და მალაბსორბციის მიზეზებს, კლინიკურ გამოვლინებას, დიაგნოზს და მართვას.

SUMMARY

LACTOSE INTOLERANCE AND MALABSORPTION: CLINICAL MANIFESTATIONS, DIAGNOSIS AND MANAGEMENT

TS. PARULAVA, M. CHKHAIDZE, I. KHURTSILAVA

Intolerance to lactose-containing foods is common. It has been described in most regions of world and people with diverse ethnic backgrounds.

Symptoms of lactose intolerance are abdominal pain, flatulence, bloating and diarrhea after ingestion of milk or milk-containing products. These symptoms may be associated with lactose malabsorption, which results from low levels of small intestinal lactase, but also occur without demonstrable malabsorption. The prevalence of lactase deficiency is low in children younger than six years and increases with age, but children often have secondary hypolactasia due to underlying intestinal diseases.

We review the causes, clinical manifestation, diagnosis and management of lactose intolerance and malabsorption.

რჩევები და რეკომენდაციები

მზავრობის „ავადყოფობა“

ნიკო თოთაძე

პედიატრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, თსსუ კლინიკის პროფესორი

დეჰიდრატაცია ვითარდება მაშინ, როცა ადამიანი კარგავს იმაზე მეტი რაოდენობის სითხეს ვიდრე იღებს. შედეგად ორგანიზმს აღარ აქვს სითხის საკმარისი რაოდენობა სასიცოცხლო ფუნქციების განხორციელებისთვის. დაკარგული სითხეების აღდგენის გარეშე ვითარდება დეჰიდრატაცია. -- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

დეჰიდრატაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზები ბავშვებში არის ლებინება და დიარეა. წყლის დანაკარგთან ერთად ორგანიზმი კარგავს ორგანიზმისთვის სასარგებლო მიკროელემენტებს. აუცილებელია ელექტროლიტებით შევსება. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვილებსა და ბავშვებში, რადგან მათ გაძლიერებული აქვთ მეტაბოლური პროცესები. შესაბამისად მეტად მგრძობიარენი არიან დეჰიდრატაციის მიმართ.

დეჰიდრატაცია მსოფლიოში ახალშობილებში და ბავშვებში ავადობისა და სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

■ დეჰიდრატაციის შემთხვევების მნიშვნელოვანი წილი მწვავე გასტროენტერიტის შედეგად ვითარდება.

■ დიარეა

■ პირღებინება.....(სხვადასხვა დაავადებების შემთხვევაში ვლინდება. ვირუსული დაავადებების და)

■ მწვავე გასტროენტერიტი შეერთებულ შტატებში, ჩვეულებრივ, ინფექციურია ეტიოლოგიაში. ვირუსული ინფექციები, მათ შორის როტავირუსი, და ენტეროვირუსები იწვევს ინფექციური დიარეის შემთხვევების 75-დან 90 პროცენტს. ბაქტერიული პათოგენები იწვევს შემთხვევათა 20 პროცენტზე ნაკლებს. ბაქტერიების საერთო მიზეზებში შედის Salmonella, Shigella და Escherichia coli.

■ გულისრევის სიმპტომი და პირღებინება დაკავშირებულია სხვადასხვა დაავადებებთან. მათ შორის მნიშვნელოვანია:

■ 1. ორსულობის დროს (NVP),

■ 2. ქიმიოთერაპიის გამოწვეული გულისრევა და ლებინება (NINV),

■ 3. პოსტოპერაციული გულისრევა და ლებინება და,

■ 4. მოძრაობის, მგზავრობის დაავადებები

■ მცირე ასაკის ბავშვები მგზავრობის დროს - უჩივიან კუჭის ტკივილს, დისკომფორტს.

ასაკის მატებასთან ერთად - 2-12 წელი- მოგზაურობის ავადყოფობა იწყება ძილიანობით და თავის ტკივილით. სახე ფერმკრთალდება, შემდეგ იწყება გულისრევა და ლებინება, დეპრესია და ზოგადი დისკომფორტი. მას შემდეგ, რაც ბავშვს აქვს ლებინების ეპიზოდი, მისი ზოგადი მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა,

მცირე ხნით, გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ ვლინდება ლებინება და ზოგადი დისკომფორტი. მოგზაურობის ავადმყოფობის სიმპტომები შეიძლება გაგრძელდეს მოკლე ან გრძელი პერიოდის განმავლობაში, მოგზაურობის დასრულების შემდეგ. განსაკუთრებით, ზღვაზე მოგზაურობა (ტალღები, რნევის შეგრძნება) სიმპტომები შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათის შემდეგ მოგზაურობის დასრულების შემდეგ.

მანქანის ავადმყოფობა მოძრაობის ავადმყოფობის ერთგვარი სახეობაა. მოძრაობისას ავადმყოფობის სიმპტომები ვლინდება მაშინ, როდესაც ტვინი იღებს ურთიერთსაინანაოლმდეგ ინფორმაციას თვალებიდან, ყურებიდან, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემიდან და ნერვული სისტემიდან.

მოგზაურობის ავადმყოფობა გამოწვეულია ტვინში, კონფლიქტური სიგნალებით. (ერთდროული აღქმა მოძრაობის და მხედველობის).

წარმოიშობება, პატარა ბავშვი მანქანის უკანა სავარძელში ზის, ფანჯარაში ხედავს რომ მიდის, მაგრამ ვერ აღიქვამს მთლიანობაში მოგზაურობას. მისი თვალები გრძობს მოძრაობას, და სხეული არა შედეგი შეიძლება იყოს, ცივი ოფლი, დალოილობა, მადის დაკარგვა, პირღებინება.

ტვინში არსებული ბალანსის ცენტრი პირველ რიგში უნდა გაეცნოს ახალ მოძრაობებს. სანამ ამას მიაღწევს, ტვინი აგზავნის სიგნალებს, რაც იწვევს მოგზაურობის ავადმყოფობას. სწორედ ამიტომ მცირდება მოგზაურობის ავადმყოფობის სიმპტომები, როცა ბავშვი იზრდება. ეს ყველას არ ახასიათებს, მიზეზები ბოლომდე უცნობია, თუმცა აქვს გენეტიკური დატვირთვა თუ ახასიათებდა ერთი მშობელს, შვილებზე ვრცელდება 50% ში.

პრევენცია:

- არ წაიკითხოთ, არ უყუროთ ფილმებს და შესაბამისად არ გამოიყენოთ ელექტრონული მოწყობილობები.
- არ არის სასურველი ყურადღების კონცენტრირება მოძრაე საგნებზე ფანჯრიდან. (მაგალითად მიმავალი მანქანები, ან ზღვის ტალღები.)
- მოგზაურობის დაწყებამდე ცოტა ხნის წინ ნუ მიირთმევთ მძიმე კერძებს, ცხარე საკვებს ან არ სვამთ ალკოჰოლს
- აღნიშნული პრობლემის გამო არ ღირს უარი ვთქვათ მოგზაურობაზე, რადგან გახსოვდეთ, რომ თქვენი პატარასთან ერთად მოგზაურობა აძლევს მას უამრავ გამოცდილებას და შესაძლებლობას, რაც ახსოვთ მთელი ცხოვრების განმავლობაში.

რეკომენდაციები:

- მოგზაურობის წინ ბავშვი დაძინებულ მდგომარეობაში თავისი სამგზავრო სავარძლით მოვათავსოთ მანქანაში. (თუ შეუძლებელია)
- კვების კონტროლი მოგზაურობის წინ: ნყალი, კრეკერი.
- დაიცავით მოგზაურობის დროს მზის აქტიური სხივებისგან.
- მოერიდეთ მანქანაში მძაფრ სუნს: სუნამო...
- ნუ მონევეთ მანქანაში, თუნდაც ფანჯრები ჩანეული იყოს.
- დარწმუნდით, რომ თქვენი ბავშვი კომფორტულად ზის სავარძელში.
- ბრიტანული გამოკვლევით დადასტურდა, რომ ჭამის შემდეგ უშაქრო სალეჭი რეზინის მიღებას შეუძლია მუავიანობის შემცირება საყლაპავში და შესაბამისად მცირდება რეფლუქსი. გასათვალისწინებელია, რომ სალეჭი რეზინა უსაფრთხოა 4 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებისთვის.
- მოძრაობის შემცირება - დაჯექი მანქანის წინ ან ნავის შუაგულში,
- დააკვირდით პირდაპირ, განსაზღვრულ ნერტილში, მაგალითად ჰორიზონტს,
- შესაძლებელია სუნთქვა სუფთა ჰაერით - მაგალითად, მანქანის ფანჯრის გახსნით,
- დახუჭე თვალები და ისუნთქე ნელა.
- გაუკეთეთ კონცენტრირება ბავშვების ყურადღებას საუბრით, მუსიკის მოსმენით ან სიმღერის შესრულებით.
- სასურველია შესვენება: სუფთა ჰაერის მისაღებად, წყლის დასალევად ან ფეხით გასეირნებისთვის.
- ექიმის რეკომენდაციით კოჭას შემცველი პროდუქტი (ჩაი, ორცხობილა...)

გამოყენებული ლიტერატურა

<https://www.healthline.com/nutrition/ginger-for-nausea>
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4818021/>
<https://www.parents.com/health/medicine/antibiotics/natural-remedies-for-kids/>
<http://www.illchild.com/travel-and-holiday/travel-sickness>
<https://www.seattlechildrens.org/conditions/a-z/motion-sickness/>
<https://www.babycentre.co.uk/x566493/why-is-my-toddler-travel-sick>
<https://www.mayoclinic.org/healthy-lifestyle/childrens-health/expert-answers/car-sickness-in-children/faq-20057876>
<https://www.nhs.uk/conditions/motion-sickness/>
<https://www.healthychildren.org/English/health-issues/conditions/head-neck-nervous-system/Pages/Car-Sickness.aspx>
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/books/NBK436022/>

რეზიუმე

მოგზაურობის „ავადმყოფობა“

ნინო თოთაძე

პედიატრი, მედიცინის აკადემიური დოქტორი. თსსუ კლინიკის პროფესორი

უარი არ უნდა ვთქვათ მოგზაურობაზე, რადგან გახსოვდეთ, რომ თქვენი პატარასთან ერთად მოგზაურობა აძლევს მას უამრავ გამოცდილებას და შესაძლებლობას, რაც ახსოვთ მთელი ცხოვრების განმავლობაში. მთავარია შევასრულოთ პრევენცია და რეკომენდაციები.

SUMMARY

TRAVEL SICKNESS

NINO TOTADZE, pediatrician, academic doctor of medicine. Professor of TSSU clinic

We should not refuse to travel, because remember that traveling with your baby gives him a lot of experiences and opportunities that he will remember throughout his life. The main thing is to carry out prevention and recommendations.

სამედიცინო ბუკლები „ღელის კვება ლაქტაციის დროს“

ნინო თოთაძე

პედიატრი, . თსსუ კლინიკის პროფესორი.

ძუძუთი კვების ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო უნივერსიტეტის ხელშეწყობით შემუშავებულ იქნა სამედიცინო ბუკლეთი „ღელის კვება ლაქტაციის დროს“

ძუძუთი კვება უნდა განხორციელდეს მშობიარობიდან არაუგვიანეს 1 საათი.

რეკომენდებულია ექსკლუზიური ძუძუთი კვება გარეშედეს 6 თვე (180 დღე). ძუძუთი კვება ხელს უწყობს სენსორულ და კოგნიტურ განვითარებას და იცავს ბავშვს ინფექციური და ქრონიკული დაავადებებისგან.

ძუძუთი კვება რეკომენდებულია 2 წლის ასაკამდე. მშობიარობის შემდეგ დედა გამოიმუშავებს მოყვითალო ფერის ხსენს, რომელიც მდიდარია ნუტრიენტებით და შეიცავს ანტიბიოტიკებს, რაც იცავს ახალშობილს ინფექციებისგან, ასევე ეხმარება საჭმლის მომნელებელ სისტემას. გარდაამავალი რძე ცვლის ხსენს მშობიარობიდან 2-5 დღიდან 2 კვირამდე, 10-15 დღის შემდეგ გამოიშვება მწიფე რძე.

ხსენი მდიდარია ცილებით, ცხიმში ხსნადი ვიტამინებით, მინერალებით და იმუნოგლობულინებით, რაც უზრუნველყოფს ბავშვის პასიურ იმუნიტეტს. პასიური იმუნიტეტი იცავს ბავშვს სხვადასხვა ბაქტერიული და ვირუსული დაავადებებისგან. ბავშვის დაბადებიდან პირველი 24 საათის განმავლობაში დედა გამოიმუშავებს - საშუალოდ - 30 მილილიტრს, მეორე და მესამე დღეს, დაახლოებით 60 მილილიტრს ხსენს, შემდეგ დღეებში რაოდენობა იზრდება. გარდაამავალი რძე - ცხიმის, ლაქტოზას და წყალში ხსნადი ვიტამინების მაღალ დონეს. ის უფრო კალორიულია, ვიდრე ხსენი.. მწიფე რძე არის საბოლოო რძე, მისი 90% წყალია, რაც აუცილებელია ბავშვის ჰიდრატაციის

შესანარჩუნებლად. დანარჩენი 10% შედგება ნახშირწყლების, ცილების და ცხიმებისგან, რომლებიც აუცილებელია როგორც ზრდისთვის, ასევე ენერჯისთვის. მომწიფებული რძის ორი ტიპი არსებობს: წინა რძე - კვების დასაწყისში და შეიცავს წყალს, ვიტამინებს და პროტეინს. უკანა რძე - რძის თავდაპირველი გამოყოფის შემდეგ. ის შეიცავს ცხიმის მაღალ დონეს და აუცილებელია ნონის მომატებისთვის.

რძის საჭირო რაოდენობის გამოიმუშავებს ხელს უწყობს: 1. სწორი მოჭიდება კვების დროს. 2. ხშირი ძუძუთი კვება. 3. კვების შემდეგ დარჩენილი რძის გამოწურვა. 4. სასურველია ყოველ ჯერზე ბავშვის კვება ორივე ძუძუდან. 5. დედის მონესრივებული კვების და ძილის რიტმი 6. რძის პროდუქტიულობის გაზრდის-ხელშეწყობი დანამატები რეკომენდებული უნდა იყოს ექიმის მიერ.

ორსულობამდე - 1600-დან 2400 კკალ. ლაქტაციის დროს - 2000-დან 2800 კკალ-მდე. იზრდება მოთხოვნა 330-400 კკალ-მდე.

დღეში რეკომენდებულია: 5 პორცია ხილი და ბოსტნეული

3 პორცია (1 პორცია დაახლოებით 75-80 გრ.) ბოსტნეული: ბროკოლი, ისპანახი, კიტრი, პომიდორი, ბატატი, სტაფილო, ბულგარული, გოგრა, ყვავილოვანი კომბოსტო, 2 ჭიქა - 2 პორცია (1 პორცია დაახლოებით 150 გრ.) ხილი; ვაშლი, მსხალი, გარგარი, ატამი, მოცვი, ავოკადო, საზამთრო, ბანანი, კივი, ქლიავი, ბრონეული, ფორთოხალი... ჩირის მიღების შემთხვევაში 1 ჭიქა ცოცხალი ხილი = 1/2 ჭიქა ჩირი. (ხილი სასურველია გადანაწილდეს დღის მანძილზე-მასში შემავალი შაქარი ერთ-



Infographic content:

- Panel 1: Vegetables (broccoli, tomatoes, cucumbers, etc.)
- Panel 2: Fruits (apples, bananas, oranges, etc.)
- Panel 3: Dairy products (milk, yogurt, cheese)
- Panel 4: Nuts and seeds (almonds, walnuts, etc.)
- Panel 5: Grains (rice, wheat, etc.)
- Panel 6: Water intake (8 glasses icon)
- Panel 7: Beverages (coffee, alcohol, sugary drinks)
- Panel 8: Fish and eggs (salmon, eggs)
- Panel 9: Unhealthy foods (fast food, sugary drinks, processed meats)
- Panel 10: Healthy lifestyle (exercise, sleep, stress management)
- Panel 11: Medical logo (Georgian Medical Academy)
- Panel 12: Breastfeeding diagram (mother and baby)
- Panel 13: Baby playing (active child)
- Panel 14: Woman thinking (mental health)
- Panel 15: Woman exercising (physical activity)
- Panel 16: Woman breastfeeding (lactation)

ჯერადად დიდი ოდენობით რომ არ მიიღოს ორგანიზმა.) ხილის ნვენი-არაუმეტეს 150 მლ ჭიქა 100% უმაქრო ნვენი.

ცილოვანი საკვები დღეში 2-3-ჯერ, როგორცაა ნითელი ხორცი, ფრინველი, (160-180 გრ. უცხიმო ხორცი), თევზი, კვერცხი, რძის პროდუქტები, ლობიო, ოსპი, თხილი და თესლეული. რძე და რძის პროდუქტი (სასურველია ნაკლებ ცხიმოვანი ან უცხიმო) – იოგურტი, კეფირი, ხაჭო, არაჟანი, მანონი, ყველი.

თევზი-2-3 კვება კვირაში კვირაში-კონტროლი.-ორაგული, კალმანი. (1 კვება - 140გრ.) ვეგეტარიანული დედე-ბი 3 კვება კვირაში – ასევე B12 და D ვიტამინის კონტროლი. (მოერიდეთ თევზს ვერცხლისწყლის შემცველობით).

ბურღულეული მთელი მარცვლით, პური, მაკარონი, შერიის ფაფა, ნინიბურა, კარტოფილი, კუსკუსი..

6-დან 7 ჩ/კ ზეთი (ჯანსღი ცხიმი)

კოფეინი – მაქსიმუმ 300 მილიგრამი რაც შეადგენს დაახლოებით 2-დან 3 ფინჯან ყავას). შოკოლადი, ჩაი შეიცავს კოფეინს: 1 ჭიქა ფილტრის ყავა: 140 მგ

1 ჭიქა ხსნადი ყავა: 100 მგ

1 ჭიქა ჩაი: 75 მგ

50 გრ შოკოლადის ფილა: 50 მგ-მდე

შაქარი დღეში: 6 ჩაის კოვზი (25 გრამი-100 კალორია) მარილი დღეში : (1, 5 კოვზი (ბგრ მარილი)

გამოყენებული ლიტერატურა:

- <https://www.karger.com/Article/Fulltext/496471>
https://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0008/313667/Good-maternal-nutrition-The-best-start-in-life.pdf
<https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/22717390/>
<https://www.nhs.uk/conditions/baby/breastfeeding-and-bottle-feeding/breastfeeding-and-lifestyle/diet/>
<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6397768/>
<https://americanpregnancy.org/healthy-pregnancy/breastfeeding/breastfeeding-overview/#:~:text=Colostrum%20is%20the%20first%20stage,is%20produced%20later%20in%20breastfeeding.>
<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/259386/9789241550086-eng.pdf>
<https://www.verywellfamily.com/colostrum-the-first-breast-milk-431990>
https://www.health.qld.gov.au/_data/assets/pdf_file/0033/139965/g-bf.pdf
<https://www.canada.ca/en/public-health/services/publications/healthy-living/maternity-newborn-care-guidelines-chapter-6.html>
https://www.rch.org.au/rchcpg/hospital_clinical_guideline_index/Breastfeeding_support_and_promotion/
<https://www.liebertpub.com/doi/10.1089/bfm.2021.29190.mba>
https://www.who.int/pmnch/media/publications/aonsec-tionIII_6.pdf
<https://www.cdc.gov/breastfeeding/breastfeeding-special-circumstances/diet-and-micronutrients/maternal-diet.html#:~:text=Generally%20women%20do%20not%20need,to%20restrict%20caffeine%20while%20breastfeeding.>

<https://www.verywellfamily.com/exercise-and-breastfeeding-431781#:~:text=Light%20to%20moderate%20physical%20activity,composition%20of%20your%20breast%20milk.>

<https://www.breastfeeding.asn.au/bfinfo/exercise-and-breast-feeding>

<https://www.healthline.com/nutrition/breastfeeding-foods-to-avoid#Other-considerations>

<https://www.healthline.com/nutrition/breastfeeding-foods-to-avoid#The-bottom-line>

<https://www.healthline.com/nutrition/breastfeeding-foods-to-avoid#Other-considerations>

<https://www.chop.edu/pages/diet-breastfeeding-mothers>

<https://www.healthline.com/health/pregnancy/breastfeeding-sex#takeaway>

<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3431754/>

<https://kidshealth.org/en/parents/moms-nutrients.html>

<https://www.verywellfamily.com/sugary-drinks-during-breast-feeding-5083312#:~:text=A%20recent%20study%20finds%20that,and%20other%20sugar%2Dsweetened%20beverages.>

<https://www.chop.edu/pages/diet-breastfeeding-mothers#:~:text=What%20to%20eat,and%20yellow%20vegetables%20per%20day.>

https://www.who.int/health-topics/breastfeeding#tab=tab_1

<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/259386/9789241550086-eng.pdf>

https://www.health.qld.gov.au/_data/assets/pdf_file/0033/139965/g-bf.pdf

<https://www.canada.ca/en/public-health/services/publications/healthy-living/maternity-newborn-care-guidelines-chapter-6.html>

https://www.rch.org.au/rchcpg/hospital_clinical_guideline_index/Breastfeeding_support_and_promotion/

<https://www.liebertpub.com/doi/10.1089/bfm.2021.29190.mba>

https://www.who.int/pmnch/media/publications/aonsec-tionIII_6.pdf

<https://globalnews.ca/news/3615212/this-is-what-your-breakfast-lunch-and-dinner-calories-actually-look-like/#:~:text=Although%20every%20person's%20daily%20calori,c,each%20for%20lunch%20and%20dinner.>

https://www.aruplab.com/files/images/wellness/MealPlan_1800_calorie.pdf

<https://www.unicef.org/georgia/media/546/file/%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

<https://www.uhhospitals.org/services/obgyn-womens-health/patient-resources/pregnancy-resources/Breastfeeding-Guide/breastfeeding-tips-to-increase-your-milk-supply>

<https://www.fda.gov/food/food-labeling-nutrition/raw-fruits-poster-text-version-accessible-version>

რეზიუმე

სამედიცინო ბუკლეტი „დედის კვება ლაქტაციის დროს“

ნინო თოთაძე

პედიატრი, . თსსუ კლინიკის პროფესორი.

ძუსუსთი კვების ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო უნივერსიტეტის ხელშეწყობით შემუშავებულ იქნა სამედიცინო ბუკლეტი „დედის კვება ლაქტაციის დროს“. ავტორი შრომაში მნიშვნელოვან რეკომენდაციებს განიხილავს.

SUMMARY

MEDICAL BOOKLET «MOTHER'S NUTRITION DURING LACTATION»

NINO TOTADZE pediatrician. Professor of TSSU clinic.

In order to promote breastfeeding, a medical booklet «Mother's nutrition during lactation» was developed with the support of the medical university. The author discusses important recommendations in labor.

2022 წლის 24.12 XLIX კონფერენციების საინტერნეტო პრეზენტაციები

საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
THE ACADEMY OF HUMANITARIAN AND ART SCIENCES OF GEORGIA



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY



INTERNATIONAL FUND "THE WORLD SECURITY AND CHILD"

საქართველოს საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF NATURAL SCIENCES



EUROSCIENCE GEORGIAN NATIONAL SECTION



„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
EVEX Medical Corporation



Association of Georgian
Pediatric Cardiology

„ღირსეული გზა - ბედნიერი ბავშვობიდან ტკბილ სიბერემდე“
„NOBLE PATH FROM HAPPY CHILDHOOD TO SWEET LATE YEARS“

„ჩანასახიდან
ბავშვს
უფლება
აქვს იყოს
დაცული“
„Children
must have right
to be defended
since embryo“



ბავშვთა
უსაფრთხოების
უზრუნველყოფა
მეცნიერების
გზით
Children's
Security Through
Science

STOP RUSSIA 2008-2022

ბავშვთა უსაფრთხოების
უზრუნველყოფა მეცნიერების გზით

CHILDREN'S SECURITY
THROUGH SCIENCE

სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა

Social Pediatrics and Child's Health

(ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა
და დოქტორანტთა - XXX)

(XXX - Young specialists, residents and
doctoral candidates)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
ინტერნეტ-კონფერენცია
„პოსტკოვიდი და პედიატრია“

XLIX

International Internet Scientific-practical
Conference
"POST-COVID AND PEDIATRICS"

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა – XV“ და
V სამეცნიერო კონფერენცია პირველად იმუნოდეფიციტებზე

**კვირფასო კოლეგებო,
DEAR COLLEAGUES,**

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ტრადიციულ კონფერენციაში, რომელიც გაიხსნება 2022 წლის 24.12.10.00. საათზე ინტერნეტ რეგისტრაცია (თსსუ)

https://meet.google.com/drc-ioaq-awt?pli=1&authuser=-2&fbclid=IwAR1HvVaHTCAvaqvMKj6ZWBLkkz_1-M4V6_1HewA8w2IjZG5Jx0EqxVYwqQ

ონლაინ შეხვედრა წარიმართება ქართულ და ინგლისურ ენაზე.

We invite you to participate in our traditional conference, which will take place on the 24.12.2022. . at 10:00 (TSMU), Internet Registration

https://meet.google.com/drc-ioaq-awt?pli=1&authuser=2&fbclid=IwAR1HvVaHTCAvaqvMKj6ZWBLkkz_1_M4V6_1HewA8w2IjZG5Jx0EqxVYwqQ

Online meeting will be held in Georgian and English.

24.12.2022.

კონფერენციის სამუშაო პროგრამა**SCHEDULE**

10:00 – რეგისტრაცია - Registration

11.00 კონფერენციის გახსნა - Opening

1.M მისალმებანი - Opening Speech

2. „ტრადიცია გრძელდება“:

მილოცვები _ მოგონება _ დაჯილდოება

“Tradition Continues” - Congratulations - Reminding - Rewarding

3. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი ქართულ პედიატრიაში - 2021-2022 წწ. მედ. მეცნ. დოქტორი პროფესორი გ.ჩახუნაშვილი (საქართველოს „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ თავმჯდომარე) “Social Pediatrics Protection Fund in Georgian Pediatrics - 2021-2022“

Professor G. Chakhunashvili (Chairman of the Social Pediatrics Protection Fund of Georgia)

I პლენარული სხდომა**I PLENARY MEETING**

11.30-13.00



(ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია)
(Euroscience Georgian National Section)

მოსხენებისათვის
(For the speakers) 35-40 წთ

დებატები
(DISPUTE) 5-10წთ

თავმჯდომარეები: საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები: დ. ბაშელაშვილი, პ.კერვალიშვილი, გ.ს. ჩახუნაშვილი, ირ.ფავლენიშვილი;

სპიკერი: მედ.დოქ. კ.გ.ჩახუნაშვილი
Chairmens: Academicians: D.Basheleishvili, P.Kervalishvili, G.S.Chakhunashvili, I. Pavlenishvili
Speaker: K.G. Chakhunashvili MD. PhD.

1. “Georgian National Section of Euroscience and it’s annual report-2021-2022” – Vice-presidents of ESGNS D.K. Chakhunashvili Ph.D.MD. K.G. Chakhunashvili MD. PhD.:

„ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2021-2022 წწ ანგარიში“ _ ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულის სექციის ვიცე-პრეზიდენტები _ მ.დ. დ.კ. ჩახუნაშვილი, მ.დ. კ. ჩახუნაშვილი (თბილისი, საქართველო)

2. “Pediatric Brothers” in Georgian real pediatrics.

detail,(2) Establishing binding requirements for centers that specialize in rare and unknown diseases. Many of the observations and considerations made in the field of pediatrics considerations may also be applicable to adults(4). For this phenomenon is also one of the reasons why we are desperately searching for a cure for rare diseases major reason. Recently, the International Consortium for Rare Diseases Research researchers have developed methods to enable molecular diagnosis of all rare diseases. The research provides timely molecular confirmation of rare genetic diseases in children and adults, significantly shortening their "diagnostic process"(5). Meanwhile, genome sequencing (GS) and exome sequencing (ES) have also been proven to be revolutionary in the diagnosis of rare diseases in pediatrics. Its investigators reviewed genomic technologies associated with aspects of rare pediatric diseases associated with the use of genomic technologies, highlighting the benefits and limitations of ES and GS, the complexity of variant classification, and the importance of genetic counseling, the diagnostic potential of ES and GS in various pediatric multisystem diseases is discussed(6). A growing number of studies have also shown that GS can be used in single laboratory workflow to detect an unparalleled of pathogenic abnormalities. Its ability to deliver five inexpensive, rapid and accurate tests to patients with different clinical indications and complex presentations(7). These studies, all of which have greatly improved the diagnosis rate of rare diseases, providing a solid foundation for rapid and effective treatment of children with rare diseases worldwide.

CURRENT STATUS OF DRUG THERAPY FOR RARE DISEASES

For drugs for rare diseases, also known as orphan drugs. In 2018, one researcher compared orphan drugs in China by how far they have been marketed in compared with orphan drugs in international markets (e.g., the United States) to assess availability. The affordability of orphan drugs was calculated using hospital pharmacy prices and calculated under China's basic medical insurance system for analysis. As of March 16, 2016, the market share of orphan drugs approved in the U.S. reached 39.9% in China. Among them, 93 orphan drugs (54.07%) were included in the national basic medical and work injury insurance drug catalogs, 22 Class A drugs with a high reimbursement rate and 71 Class B drugs with a low reimbursement rate; 79 orphan drugs (45.93%) are not covered by medical insurance or do not have indications for rare diseases. Orphan drugs are unaffordable for the majority of the Chinese population. It concluded that the Chinese government could improve access and availability of orphan drugs through the establishment of incentive policies for orphan drug information sharing and public platforms (8). On the latest reports, the China is also paying more attention to the use of drugs for rare diseases. "Hemophilia disease: per capita treatment cost 80-1 million yuan/year, with about 49,000 patients in China; Spinal muscular atrophy: average

treatment cost 700-1.4 million yuan/year, about 30-50,000 patients in China; Fabry's disease: per capita treatment cost

1-1.29 million yuan/year per person, with about 300 patients in China; Multiple sclerosis: per capita treatment cost 100,000-600,000 yuan/year, about 30,000 patients in China. These heavy numbers figures would often have brought down a family a decade ago, but now 67% of drugs for rare diseases in China are now covered by medical insurance, greatly reducing the burden of medication on patients. "Every small group should not be should be abandoned," is such a belief that the original price of 700,000 for Nocinasan sodium injection was reduced to 33,000 yuan. This undoubtedly shows that the country has not given up on every small group. It gives hope to those children with rare diseases and their families.

REFERENCES

- [1] Xinmiao Shi, Hui Liu, Lin Wang, et al. A study on the status of the first rare disease list in China based on 15 million inpatients[J]. Chinese Medical Journal, 2018, No. 40: 3274-3278.
- [2] Li, Xiuzhen¹, Lu, Zhikun¹, Lin, Yunting¹, et al. Clinical features and mutational analysis in 114 young children with Wilson disease from South China[J]. American Journal of Medical Genetics. Part A. 2019, No. 8: 1451-1458.
- [3] Johannes Boettcher, Michael Boettcher, Silke Wiegand-Grefe, et al. Being the Pillar for Children with Rare Diseases-A Systematic Review on Parental Quality of Life[J]. International journal of environmental research and public health. 2021, No. 9: 4993.
- [4] Kohlschütter A1, van den Bussche H2. Early diagnosis of a rare disease in children through better communication between parents, physicians and academic centers[Article][J]. Z Evid Fortbild Qual Gesundhwes. 2019, Vol. 141-142: 18-23.
- [5] Kym M. Boycott, Ana Rath, Jessica X. Chong, et al. International Cooperation to Enable the Diagnosis of All Rare Genetic Diseases[J]. American journal of human genetics. 2017, No. 5: 695-705.
- [6] Alison M. Elliott. Genetic Counseling and Genome Sequencing in Pediatric Rare Disease[J]. Cold Spring Harbor perspectives in medicine. 2020, No. 3: a036632.
- [7] David Bick, Marilyn Jones, Stacie L Taylor, et al. Case for genome sequencing in infants and children with rare, undiagnosed or genetic diseases[J]. Journal of Medical Genetics, 2019, No. 12: 783-791.
- [8] Lin Ge, Cuijie Wei, Luwen Shi, et al. Study on drug use for rare diseases in China[J]. Beijing Medical Science, 2018, the fifth phase: 432-434.
- [9] Xie SM, Liu W, Xiang YY, et al. A rare disorder mimics otitis media: Langerhans cell histiocytosis of the temporal bone in a child with interstitial pulmonary fibrosis[J]. AMERICAN JOURNAL OF OTOLARYNGOLOGY – HEAD AND NECK MEDICINE AND SURGERY XX (2014), 2014.06.018.
- [10] Alison M. Elliott. Genetic Counseling and Genome Sequencing in Pediatric Rare Disease[J]. Cold Spring Harbor Perspectives in Medicine, 2020; 10: a036632.

SUMMARY

CURRENT STATUS OF RESEARCH ON RARE DISEASES IN CHILDREN IN CHINA

XIPING ZHANG, QIAN NIU, JUYAN WANG, YANAN SUN, FUYONG JIAO
Children's Hospital, Shaanxi Provincial People's Hospital, Xi'an, China 710068;

LULU MA,
Class 1901, Department of Nursing, Xi'an Innovation College, Yan'an University

For rare diseases, every successful discovery will provide potential diagnostic, preventive and therapeutic opportunities for thus providing precision medicine for that patient population. Therefore, contemporary society should pay attention to this small group of rare diseases, so that rare diseases are not rare and families with rare diseases can be happier.

მნიშვნელოვანი მოვლენები

STOP RUSSIA 2008-2022

**XLIX საერთაშორისო სამედიცინო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია
XLIX INTERNATIONAL INTERNET SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE**

**„პოსტკოვიდი და პედიატრია“
“POST-COVID AND PEDIATRICS”**

**(ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა – XXXI)
(XXXI – YOUNG SPECIALISTS, RESIDENTS AND DOCTORAL CANDIDATES)**

თბილისი 24.12.2022 TBILISI

Euroscience Georgian National Section, Association of Georgian Pediatric Cardiology

„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს
დაცული“

“Children must have right to be defended
since embryo”

ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა
მეცნიერების გზით

Child’s ThroSSSecurity Thruh Science

სოციალური პედიატრია და ბავშვთა
ჯანმრთელობა

Social Peditry and Child’s Health

(პრეს-რელიზი)

2023 წლის 24.12. იმუშავა XLIX საერთაშორისო სამედიცინო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია – „პოსტ-კოვიდი და პედიატრია“

რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია – International fund the world security and child-ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინო კორპორაცია ევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია;

კონფერენცია იმუშავა პროგრამით:

24.12.2022.

კონფერენციის სამუშაო პროგრამა

SCHEDULE

10:00 – რეგისტრაცია – **Registration**

11.00. კონფერენციის გახსნა – **Opening**

1.M მისალმებანი - **Opening Speech**

2. „ტრადიცია გრძელდება“:

მილოცვები – მოგონება – დაჯილდოება


„თრადიციონ Continues~ - Congratulations _Reminding




- Rewarding

3. სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი ქართულ პედიატრიაში – 2021-2022 წწ.მედ.მეცნ.დოქტორი პროფესორი გ.ჩახუნაშვილი (საქართველოს „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ თავმჯდომარე)

“ Social Pediatrics Protection Fund in Georgian Pediatrics - 2021-2022“

Professor G. Chakhunashvili (Chairman of the Social Pediatrics Protection Fund of Georgia)





**I პლენარული სხდომა
I PLENARY MEETING -
11.30-13.00.**

(ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია) (Euroscience Georgian National Section)

მოსხენებისათვის (For the speakers) 35-40 წთ დაგებატები (Dispute) 5-10წთ

თავმჯდომარეები: საქართველოს დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსები: დ. ბაშელიშვილი, პ.კერვალიშვილი, გ. ს.ჩახუნაშვილი, ირ. ფავლენიშვილი; სპიკერი: მედ.დოქ. კ.გ.ჩახუნაშვილი

Chairmen: Academicians: D.Basheleishvili, P.Kervalishvili, G. S.Chakhunashvili, .I. Pavlenishvili
Speaker: K.G. Chakhunashvili MD. PhD.

1. "Georgian National Section of Euroscience and it's annual report-2021-2022" –

Vice-presidents of ESGNS D.K.Chakhunashvili Ph.D.MD. K.G. Chakhunashvili MD. PhD.:

„ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის 2021-2022 წწ ანგარიში“ – ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ვიცე-პრეზიდენტები – მ.დ. დ.კ. ჩახუნაშვილი, მ.დ. კ. ჩახუნაშვილი (თბილისი, საქართველო)

2. "Pediatric Brothers" in Georgian real pediatrics. Associate Professor Konstantine Chakhunashvili MD, PhD Associate Professor Davit Chakhunashvili MD, PhD


“პედიატრი ძმები“ ქართულ რელურ პედიატრიაში. ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე გ.ჩახუნაშვილი MD, PhD

ასოცირებული პროფესორი დავით გ. ჩახუნაშვილი MD, PhD

3. Analysis of "Deja view" Phenomenon by Quantum Information Method

Dr. Phys & Math Sciences, Professor, Academician Paata Kervalishvili (Tbilisi, Georgia)

„დეჟავიუს“ ფენომენის ანალიზი ქვანტურ-ინფორმაციული მეთოდით



მათ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი პაატა კერვალიშვილი (თბილისი, საქართველო)

4. "United Health" in Georgia

Giorgi K.Chakhunashvili, MD PhD. Head of One Health Division, NCDC

„ერთიანი ჯანმრთელობა“ საქართველოში გიორგი ჩახუნაშვილი MD PhD

ერთიანი ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი, NCDC

5. FRONTERA in Georgian Pediatrics - "Support is our choice - 2021-22"

I.Chkhmelidze - FRONTERA's Director of social programs /U.S.A-Tbilisi/

FRONTERA ქართულ პედიატრიაში – „თანადგომა ჩვენი არჩევანია – 2021-22“ ივ.ცხომელიძე – FRONTERA-ს სოციალური პროგრამების დირექტორი /აშშ-თბილისი/ 6. "ECG (electrocardiography) and PosCovid"

G. Chakhunashvili-MDM, Professor, Academician-President of the Georgian Association of Pediatric Cardiologists.

ეკგ-ს (ელექტროკარდიოგრაფიის) და პოსკოვიდი ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი გ.ს.ჩახუნაშვილი

დაგებატები (DISPUTE)

**II პლენარული სხდომა
II PLENARY MEETING
14.00. – 18.00.**

მოსხენებისათვის (For the speakers) 15-20 წთ

დაგებატები (DISPUTE) 5-10წთ

თავმჯდომარეები: პროფ, დ.ცხომელიძე, მედ.დოქ. დ.გ.ჩახუნაშვილი

Chairmen: Prof.D.Tskhomelidze, D.G.Chakhunashvili Ph

1. რკინადეფიციტური ანემია ბავშვებში.

პროფესორი ლიანა სირაძე. პედიატრი Iron Deficiency Anemia in Children. Professor Liana Siradze. MD. PhD. (Tbilisi, Georgia)

2 „ბავშვთა მოვლის თანამედროვე ასპექტები“.

კლინიკის პროფესორი ნინო თოთაძე "Modern Aspects of Child Care".

Clinic Professor Nino Totadze (Tbilisi, Georgia)

3 ონკოლოგიურ პაციენტებში ფერტილობის შენარჩუნება

ეკ.კვირკველია რეპროდუქტოლოგიის რეზიდენტი-ექიმი,

Fertility preservation in Oncologic Patients
Ek. Kvirkvelia Resident-Doctor of Reproductology, (Tbilisi, Georgia)

4. "Current status of research on rare diseases in children in China"

Xiping Zhang a, Qian Niu a, Juyan Wang a, Yanan Sun a, Lulu Ma b and Fuyong Jiao a*

a Children's Hospital, Shaanxi Provincial People's Hospital, Xi'an, 710068, China. b Department of Nursing, Yan'an University, Xi'an Innovation College, Class-1901, China.

Authors' contributions

This work was carried out in collaboration among all authors. All authors read and approved the final manuscript. (China)

5. MODERN APPROACHES TO THE TREATMENT OF JUVENILE RHEUMATOID ARTHRITIS IN CHILDREN

B.H. Annayev, Ya.Ya. Yavan

Hospital with scientific and clinical Center of Cardiology, Turkmen State Medical University (Ashgabat, Turkmenistan)

СОВРЕМЕННЫЕ ПОДХОДЫ В ЛЕЧЕНИИ ЮВЕНИЛЬНОГО РЕВМАТОИДНОГО АРТРИТА У ДЕТЕЙ.

Б.Х. Аннаев, Я.Я. Яван

Госпиталь с научно-клиническим Центром Кардиологии, Туркменский Государственный медицинский Университет (Ашгабат, Туркменистан)

6. „ბავშვებში მანუტრიციის მართვის თანამედროვე პრინციპები“

გელა ღუნაშვილი – რეზიდენტი (თსსუ)

Modern principles of nutrition management in children

Gela Ghunashvili - resident (TSSU) (Tbilisi, Georgia)

7. „ბოტალის სადინარის თანამედროვე პრობლემები“ ირაკლი ლლონტი-რეზიდენტი (თსსუ)

Modern problems of the Botali pipeline - Irekli Ghlonti-resident (TSSU)

8. CRISPR/Cas9 technology for treating neurodegenerative diseases - Huntington's disease, Alzheimer's disease.

Deimile Marija Gritenaite (Tbilisi state university, Lithuania)

9. Health effects of secondhand smoke in children

Jumana Kanchwala Abbasali (Tbilisi state university, India)

10. Identification of Twins

Davit Tskhomelidze, Aatira Thomas (TSMU)

tyupebis identifikaciadaviT cxomeliZe, aTira tomas (Tssu)

11. How Genes Work

Davit Tskhomelidze, Natalia Chiladze (TSMU)

როგორ მუშაობენ გენები

დავით ცხომელიძე, ნატალია ქილაძე (თსსუ)

12. "Common Injuries - Their Rehab and Exercises" Elene Didbaridze (TSMU)

„ზშირი ტრამევების რეაბილიტაცია და ვარჯიშები“ ელენე დიდბარიძე (თსსუ)

13. Etiology and diagnostic challenges of recurrent fever in pediatric age - Elisabed Chikobava, Nuka Kurtanidze, Levan Alavidze, Ket Menabde, Giorgi Pkhakadze - TSMU American MD Program;

14. Genetically modified CAR-T cell therapy in bone marrow transplant-resistant T-ALL - Rohit Parab, Laya Chadalawa-da - TSMU American MD Program.

15 „კოვიდის შემდგომი თანამედროვე რეაბილიტაცია – 2“ მედ. დოქტ. კლინიკის პროფესორი დ. ტაბუცაძე, ვ. გეგეშიძე (თბილისი. საქართველო)

„Post-Kovid Rehabilitation-2“ D. Tabutsadze, V. Gegeshidze (Tbilisi, Georgia)

16 „სკოლის ექიმი“ ნელი ბადრიაშვილი. მზია ჯაში, გ. ჩახუნაშვილი (თბილისი. საქართველო)

„School doctor“ Neli Badriashvili. Mzia Jashi, G. Chakhunashvili (Tbilisi, Georgia)

დებატები (DISPUTE) 5-10წთ

III პლენარული სხდომა

III PLENARY MEETING –

18.00.-18.45.

კონფერენციის მუშაობის განხილვა, კონფერენციის რეზოლუციის მიღება

მიმდინარე საორგანიზაციო საკითხები, კონფერენციის დახურვა

Discussion of the Subjects Mentioned during the Conference, Planning Future Organizational Subjects and Approving Resolution


CLOSURE

კონფერენციამ იმუშავა ნაყოფიერად და მიიღო 2023 წლის შესაბამისი სამუშაო რეზოლუცია.

უმნიშვნელოვანესია, რომ 2022-წლის 24 დეკემბერს თბილისში ჩატარებული ინტერნეტ-კონფერენციის ძირითადი ღირებულებები იყო:

1. ტრადიციულად, Fs-ზე. ღია ეთერში იყო წინა კონფერენციების მსგავსად 8 სთ-ზე მეტი.

2. საამაყოა, რომ ასევე ტრადიციულად გამოცდილ მეცნიერებთან ერთად-არა მხოლოდ მედიკებთან, კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა თსსუ-ის გარდა სხვა ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ახალგაზრდობამ, მათ შორის უცხოელებმაც. ისინი მონაწილეთა 90%-ზე მატს შეადგენდა.





3. ჟურნალები დაისტამბა და დაიდო საიტზე. კონფერენციას მიეძღვნა „სოციალური პედიატრიის“ გაზეთის №52.

4. კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეგზავნათ სერთიფიკატები

5. აღსანიშნავია, რომ წინა და ამ კონფერენციის მოხსენებები დაისტამბა – ჟურნალების ახალ ნომრებში.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა უფასო ონლაინ კონსულტაციები

Free Medical onlain consultation 25.12.2022 14:00-20:00

ამასთან ერთად, შესაძლებლობისთანავე დარიგდება:

– გაზეთი „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალები – „ბავშვთა კარდიოლოგია“, „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“, „Internaciona Journal of Pediatrics“, „international Journal of Pediatric Cardiology“.

As we can will receive - “Social Pediatrics” newspaper. Also, magazines - “Pediatric Cardiology”, “Social, Ecological and Clinical Pediatrics”, “Internaciona Journal of Pediatrics”, “international Journal of Pediatric Cardiology”.

კონფერენციის ინტერნეტ-მხრისა

ELECTRONIC VERSION

www.sppf.info, www.esgns.org-e-mail: info@sppf.info

დიდი მადლობა კონფერენციის ყველა აქტიურ მონაწილეს.

ქვანტური ინტერნეტი და მისი როლი ბიომედიცინაში

პაატა კვარცხელია

რა არის ქვანტური ინტერნეტი და ქვანტური ქსელები და რას გვიქადის მათი განვითარება? ეს დღევანდელ ტექნოლოგიურ პროგრესთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი კითხვაა. თუ ჩვენ კაცობრიობის მოღვაწეობაში მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ბოლო ღირშესანიშნავი მიღწევად ციფრული გამოთვლების საყოველთაო დანერგვას ჩავთვლით, ოცდამეერთე საუკუნის პირველი დეკადების უმნიშვნელოვანეს მიღწევად ქვანტური ტექნოლოგიების განვითარება უნდა ვაღიაროდ. აქ, ქვანტურ ეპოქაში ყველაზე საინტერესო პერსპექტივა ქვანტური კომპიუტერების შექმნა-გამოყენებაა.

ამერიკელი მეცნიერი რიჩარდ ფეინმანი იყო პირველი, ვინც დასვა კითხვა: „თუ ქვანტური სისტემები იმდენად ექსპონენციალურად რთულია, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ მათი სიმულაცია არსებულ კლასიკურ კომპიუტერებზე, შეიძლება თუ არა იგივე ქვანტური სისტემების კონტროლირებადი გზით ექსპლუატაცია, რომ მათ ექსპონენციურად აჯობონ ჩვენს კლასიკურ კომპიუტერებს?“

ასეთ პირობებში ქვანტური ინტერნეტის შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. მაგ-

რამ რას ნიშნავს ქვანტური ინტერნეტის არსებობა?

სიტყვა „ქვანტური“ იმდენად მონიშნავს და კომპლექსურად ჟღერს, რომ ადამიანები აფიტირებენ ყველაფერზე, რაც მას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვანტური ამბავი არ იწვევს პოზიტიურ პასუხს ქვანტური ინტერნეტის შემ-

თხვევაში, ადამიანებს აქვთ აღფრთოვანების მიზეზი.

რეალობაში ქვანტური ინტერნეტი იქნება ის ქსელური სისტემა, რომელიც ინფორმაციის გასაგზავნად რადიოტალღების ნაცვლად გამოიყენებს ქვანტურ სიგნალებს. ინტერნეტი, როგორც ჩვენ ვიცით, იყენებს რადიო სიხშირეებს სხვადასხვა კომ-



სურ.1. ქვანტური ინფორმაციის გავრცელების რუქა (წყარო: Physics World).

პიუტერების დასაკავშირებლად გლობალური ქსელის მეშვეობით, რომელშიც ელექტრონული სიგნალები იგზავნება წინ და უკან ყველა მიმართულებით. ქვანტურ ინტერნეტში სიგნალები გაიგზავნება ქვანტური ქსელის მეშვეობით ე.წ. ჩახლართული ქვანტური ნაწილაკების გამოყენებით. მათი აქტივობა, რასაც აინშტაინი უწოდებდა „მოჩვენებით მოქმედებას მანძილზე“, ჩახლართული ნაწილაკებს საშუალებას აძლევს ერთში გადატანილი ინფორმაცია მყისიერად (გაუგონარი სიჩქარით) აისახოს მეორეში – მოხდეს ერთგვარი ქვანტური ტელეპორტაცია. ეს არის ის გზა, რაც ქვანტურ ინტერნეტს უდევს საფუძველად: გამოიყენოს ჩახლართულობის ფენომენი, ორ მონყობილობას შორის კომუნიკაციისთვის. ამრიგად, მრავალი ქვანტური მონყობილობის ერთმანეთთან შეერთებით, ქვანტურმა ინტერნეტმა შეიძლება დაიწყოს იმ პრობლემების გადაჭრა, რომელთა მიღწევა ამჟამად შეუძლებელია ერთ კვანტურ კომპიუტერში. ეს მოიცავს მონაცემთა დიდი მოცულობის გაცვლის დაჩქარებასა და ფართომასშტაბიანი სენსორული ექსპერიმენტების ჩატარებას ასტრონომიაში, სხვადასხვა მასალების აღმოჩენისას და ასევე, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში.

კვანტური გასაღების განაწილება არის უსაფრთხო კომუნიკაციის მეთოდი, რომელიც ახორციელებს კრიპტოგრაფიულ პროტოკოლს, რომელიც მოიცავს კვანტური მექანიკის კომპონენტებს. ეს საშუალებას აძლევს ორ მხარეს შექმნან საერთო შემთხვევითი საიდუმლო გასაღები (QKD), რომელიც მხოლოდ მათთვის ცნობილია, რომელიც შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეტყობინებების დაშიფვრასა და გაშიფვრაში.

QKD ტექნოლოგია ძალიან ადრეულ ეტაპზეა. QKD-ის შექმნის „ჩვეულებრივი“ გზა ამ მომენტში შედგება ქუბიტების (ქვანტურ-ინფორმაციული ნაწილაკები – ქვანტური ბითები) ცალმხრივად გაგზავნით მიმდებამდე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების მეშვეობით. მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად ზღუდავენ გადაცემის ეფექტურობას. ქუბიტები ადვილად იფანტებიან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელში, რაც ნიშნავს, რომ ქვანტური სიგნალების სიმკვრივე შორ მან-


ძილზე გადაადგილებისას მცირდება. ამჟამინდელი ექსპერიმენტები, ფაქტობრივად, შემოიფარგლება ასობით კილომეტრის მანძილით.

ტექნოლოგიური მზადყოფნის არ არსებობის გამო უახლოეს მომავალში, ქვანტური ინტერნეტი ვერ იქნება გამოყენებული მონაცემთა გაცვლისთვის იმ დონეზე, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ თანამედროვე ინფორმაციული ხელსაწყოების (გაჯეტების) გამოყენებით. სრულად მოქმედი ქვანტური ინტერნეტის შექმნა მოითხოვს ტექნოლოგიური მიღწევების რამდენიმე ათწლეულს.

გადაწყვეტს ისეთ ამოცანებს, რომელიც ნაკლებად ეფექტურად სრულდება კლასიკური კომპიუტერებით, თუნდაც ისინი სუპერკომპიუტერებს წარმოადგენდნენ.

ამ მიმართულებით არსებობს სერიოზული მიღწევებიც. მაგალითად, უკვე ცნობილია როგორ შეიქმნას ქუბიტების სუპერპოზიციური განლაგება და ქვანტური ჩახლართულობა, და ეს მიდგომა წარმატებით გამოიყენება QKD-სთვისაც.

ჩინეთმა, დიდი ხნის ინვესტიორმა კვანტურ ქსელებში, დაამყარა რეკორდები კოსმოსური თანამგზავრების მიერ ორგანიზებულ ქუბი-




სურ. 2. კვანტური გასაღების განაწილება (QKD)

დღეს მრავალი კვლევა ქვანტური კომუნიკაციის დარგში ეძღვნება იმის გარკვევას, თუ როგორ უკეთესად დაიშიფვროს, შეიკუმშოს და გადაიცეს ინფორმაცია ქვანტური მდგომარეობების ცვლილების საშუალებით. იმის გამო, რომ ქვანტური მდგომარეობები ხასიათდებიან განსაკუთრებული სიმკვრივით, სავარაუდოა ქვანტური კვანძს გააჩნდეს უნარი დიდი რაოდენობის მონაცემების ტელეპორტირებისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვანტური ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა შესაბამისი ქვანტური ქსელის საშუალებით ნაკლებად არის დაკავშირებული კლასიკურ ტიპის ელექტრონულ ფოსტასთან ან ინფორმაციის გაზიარებასთან სოციალურ ქსელებში. მოსალოდნელია, რომ ქვანტური ინტერნეტი იმუშავებს კლასიკური ინტერნეტის გვერდით და გამოყენებული იქნება სპეციალიზებული აპლიკაციებისთვის, ანუ

ტურ ჩახლართვაში. ჩინელმა მეცნიერებმა ახლახან დააფიქსირეს ჩახლართულობა და მიაღწიეს QKD-ს რეკორდულ 745 მილზე.

შემდეგი ეტაპი ინფრასტრუქტურის გაფართოებაა. ყველა ექსპერიმენტი აქამდე მხოლოდ ორ ბოლო წერტილს აკავშირებდა. ახლა, როცა წერტილიდან წერტილამდე კომუნიკაცია მიღწეულია, მეცნიერები მუშაობენ ქსელის შექმნაზე, რომელშიც მრავალ გამომგზავნს და მრავალ მიმღებს შეუძლია გლობალური მასშტაბის ქვანტური ინტერნეტის საშუალებით დაქვანტული ინფორმაციის გაცვლა.

იდეა, არსებითად არის საუკეთესო გზების პოვნა უამრავი ქუბიტის ჩახლართულობის ორგანიზაცია დიდ დისტანციებზე და ერთდროულად მრავალ სხვადასხვა წერტილს შორის. ამის თქმა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე გაკეთება: მაგალითად, ამჟამად ჩინეთსა და აშშ-ში



სურ. 3. სავარაუდო ურთიერთობები ქვანტურ გამოთვლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან სირთულის კლასებს შორის. გარდა ქვანტური გამოთვლისა, ქვანტურ კრიბტოგრაფიას აქვს კრიბტოგრაფიული პროტოკოლების დაშლის მექანიზმი, გარანტირებული არა გარკვეული მათემატიკური ამოცანების გადაჭრის სავარაუდო სირთულით, როგორცაა მთელი რიცხვების ფაქტორიზაცია ან უხეში ძალის ძიება, არამედ ქვანტური მექანიკის კანონებით. (წყარო: მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, აშშ).

ქვანტურ მოწყობილობებს შორის ჩახლართულობის შენარჩუნება, სავარაუდოდ, საჭიროებს შუალედურ კვანძს, ახალი მარშრუტიზაციის ახალი პროტოკოლებით. ამ მიმართულებით ქვეყნები ირჩევენ ქუბიტური ტრანსპორტის განსხვავებულ ტექნოლოგიებს. თუ ჩინეთი ირჩევს სატელიტურ ტექნოლოგიას, ოპტიკურ-ბოჭკოვან მეთოდს მხარს უჭერს აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტი (DoE), რომელიც ახლა ცდილობს შექმნას ქვანტური გამეორებების ქსელი ქუბიტური ჩახლართულობის მანძილის გასაზრდელად. შეერთებულ შტატებში ქვანტური ინფორმაციული ნაწილაკები ჩიკაგოს გარეუბანში 52 მილის სიგრძის «ქვანტურ მარყუჟზე» ოპტიკურ ბოჭკოში ჩახლართული დარჩა კვანტური გამეორებების საჭიროების გარეშე. მალე ეს ქსელი დაუკავშირდება DoE-ს ერთ-ერთ ლაბორატორიას 80 მილის სიგრძის ქვანტური საცდელი არხის შესაქმნელად.

ევროკავშირში ქვანტური ინტერნეტ ალიანსის პროექტი დაიწყო 2018 წელს ქვანტური ინტერნეტის სტრატეგიის შესამუშავებლად და უკვე 2021-ში ექსპერიმენტულად მოხდა ქუბიტების გადაცემა 31 მილის მანძილზე. ქვანტური ქსელის შექმნის პროგრამაზე მომუშავე მკვლევარების მიზანია ქვანტური ქსელების

ამუშავება ჯერ ეროვნულ დონეზე მოხდეს და შემდეგ კი საერთაშორისო მასშტაბით. მეცნიერების დიდი უმრავლესობა თანხმდება, რომ ამ პროცესს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება. ქვანტური ინტერნეტი უდავოდ გრძელვადიანი პროექტია, მრავალი ტექნიკური დაბრკოლება ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ ის შედეგები, რომელსაც ტექნოლოგია აუცილებლად მოიტანს, მოგვცემს ახალ მეცნიერულ გადაწყვეტილებებს, რომელიც დასრულდება არაჩვეულებრივი ქვანტური აპლიკაციებით, რომელთა პროგნოზირებაც ახლა შეუძლებელია.

როგორც ბოლო წლებში გამოირკვა, ქვანტური ალგორითმების წარმადობა ექსპონენციალურად სჭარბობს კლასიკური ალგორითმებისას. ეს კი ქვანტურ გამოთვლებს მისცემს შესაძლებლობას ხარისხობრივად ახალი შედეგები დაიდოს

საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მრავალ სფეროში.

რაც უფრო უახლოვდებიან ჩინეთი და აშშ მუშა ქვანტური საკომუნიკაციო ქსელის შექმნას, მით უფრო გასაგები ხდება რა დონის წინსვლასთან გვაქვს საქმე ინფორმაციის მიღება-გადაცემაში.

ჩინეთმა გასულ წელს გაუშვა მსოფლიოში პირველი ქვანტური საკომუნიკაციო თანამგზავრი და მას

შემდეგ პროექტის მონაწილეები დაკავებულნი არიან ქსელის ქვანტურ-კომუნიკაციური ტესტირებით და ზრდიან ჩახლართული ფოტონების გაგზავნის პროცესის პარამეტრებს კოსმოსიდან მიწისქვეშა სადგურებზე და შემდეგ უკან თანამგზავრზე. ასევე მოხერხდა ინფორმაციის შენახვა ქვანტური მეხსიერების გამოყენებით. წელს იგეგმება ქვანტური საკომუნიკაციო ქსელის შექმნა პეკინ-შანხაის ინტერნეტის გასაძლიერებლად, ხოლო 2030 წლისათვის სრულიად ჩინეთის ქვანტური ინტერნეტის ამოქმედება.

ქვანტურ ინტერნეტს შეუძლია რევოლუცია მოახდინოს ბიოსამედიცინო სფეროში, რაც განპირობებულია დიდი რაოდენობით მონაცემების უფრო სწრაფად და ზუსტად დამუშავებით. ამან შეიძლება გამოიწვიოს დაავადებების ახალი მკურნალობისა და სამკურნალო საშუალებების შემუშავება, ისევე როგორც ახალი წამლების უფრო ეფექტური ტესტირება.

მეტად ეფექტურად გამოიყურება ე.წ. ნივთების ინტერნეტის (IoT) ქვანტური განვითარების შესაძლებლობა, როგორც ახალი ინოვაცია წამლების მიწოდებისა და ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროებში, მაგალითად, რეალურ დროში დიაგნოსტიკასა და ნახევარგამტარულ ფლუორესცენციის გამოსხივების მასალის, ქვანტური ნერტილებთან ინტეგრაციაში. პირველი საინტერესო შედეგები გამოჩნდა ჯანდაცვის სექტორში, განსაკუთრებით საავადმყოფოებსა და პათოლოგიურ ლაბორატორიებში სხვადასხვა დაავადების გამოვლენის დროს, როგორცაა: ეპილეფსია, კიბო, დიაბეტი და ა.შ. გამოჩნდა ახალი, ბიოსამედიცინო მიმართულების გამოყენების სფეროები, როგორცაა ელექტრონერვის დაზოგვა, ქვანტური სენსორული და ხელოვნური ინტექტუალური სისტემები და სხვა.

ქვანტურ-ქსელური ტექნოლოგია მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მონაცემების გადაცემისა და უსაფრთხოებისთვის. ზოგიერთი შეზღუდვის მიუხედავად, როგორცაა ელექტრონული ნარჩენები და ჰაკერების რისკი, ქვანტური განაწილების (QD) სისტემა განიხილება, როგორც თანამედროვე ჯანდაცვის პროვაიდერი სიცოცხლის გადამრჩენი მეთოდებითა და ინსტრუმენტებით სამედიცინო მომსახურე-


ბის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მათი რეალურ დროში ხელმისაწვდომობისთვის.

ჯანმრთელობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შედეგად იზრდება ჯანდაცვის საჭიროება. ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები მოიცავს უკიდურესად კონფიდენციალურ და სენსიტიურ ინფორმაციას და თანამედროვე ბლოკჩეინის ტექნოლოგიას შეუძლია ამ ჩანაწერების უსაფრთხო გაცვლა სხვადასხვა სამედიცინო ორგანიზაციას შორის. ამჟამინდელი ბლოკჩეინის სისტემების ქვანტურ ქსელებთან ინტეგრაციით შესაძლებელი ხდება შემუშავდეს ახალი განაწილებულ ქვანტური ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერთა სისტემა. აქ ქვანტური ბლოკჩეინის მონაცემთა სტრუქტურაში ბლოკები დაკავშირებულია ჩახლართული მდგომარეობების მეშვეობით.

დროის შტამში ავტომატურად ყალიბდება ქვანტური ბლოკების მიერ კონტროლირებად აქტივობებთან შეერთებით, რაც ამცირებს საჭირო შენახვის სივრცის რაოდენობას, ხოლო თითოეული ბლოკის ჰეშის (მთავარი) მნიშვნელობა ჩანერილია მხოლოდ ერთი ქუბიტის გამოყენებით. ამ შემთხვევაში ქვანტური ინფორმაციის დამუშავება დეტალურად არის აღწერილი ქვანტური ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერის პროტოკოლში. ყველა სამედიცინო ჩანაწერის თვალყურის დევნება შესაძლებელია და ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა სამედიცინო

საგნების ინტერნეტ სისტემებში გარანტირებულია. პროტოკოლი ასევე წყვეტს ტრადიციულ დაშიფვრის და ციფრული ხელმოწერის ალგორითმებს ქვანტური აუთენტიფიკაციის სისტემის სასარგებლოდ. ქვანტური ბლოკჩეინის ქსელს ახასიათებს ძალზედ მაღალი უსაფრთხოება სხვადასხვა კიბე თავდასხმებისგან, რადგან მას შეუძლია გაუძლოს პრაქტიკულად ნებისმიერ გარე შეტევას, შეტევა-გაზომვა-განმეორება და შეტევა-გაზომვა მეთოდისა და შესაბამისი ქვანტური მიკროსქემის გამოყენების გამო ქვანტური ბლოკის სისწორისა და მიკვლევადობის ანალიზისათვის.

P.S. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია და გაზეთის რედაქცია დიდ მადლობას უხდის აკადემიკოს ბატონ პაატა კერვალიშვილს ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობისათვის. გთავაზობთ საქართველოსა და მსოფლიოში ჩვენი სასიქადულო მეცნიერის წარმატებული მოღვაწეობის მოკლე ფოტოკოლაჟს:



რელაქსია კულთადად ულოცავს პროფესორ ყარამან ფალავას 75 წლის იუბილეს

ყარამან ფალავას შემოქმედებითი პორტრეტი



გამოჩენილ ქართველ პედიატრს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ყარამან ფალავას 75 წელი შეუსრულდა.

მან 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1974 წელს დაუბრუნდა Alma maters და მას შემდეგ მთელი მისი შემოქმედები ცხოვრება – 49 წელი მშობლიური უნივერსიტეტის კედლებში გაატარა, გაიარა აკადემიური წინსვლის ყველა საფეხური – უფროსი ლაბორანტიდან პროფესორამდე, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტის ჰეპატოლოგიის ხელმძღვანელამდე.

ყარამან ფალავა პოპულარული ექიმი. დაჯილდოებულია „ოქროს სტეტოსკოპით“. ხელი შეუწყო და ამჟამადაც ხელს უწყობს იშვიათი დაავადებების პრობლემათიკისადმი, ეკოლოგიური პედიატრიისადმი. ცელიაკიისადმი და ბაქტერიოფაგოთერაპიისადმი ინტერესის გაღვივებას.

საჩინო პედაგოგია. ასწავლის პედიატრიას (ბავშვთა და მოზარდთა მედიცინას) სტუდენტებს, ორდინატორებს, რეზიდენტებს, კითხულობს ლექციებს ექიმებისთვის. პირველად საქართველოში დაიწყო

მოზარდთა მედიცინის კლინიკური ასპექტების, იშვიათი დაავადებების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ზოგადი პრინციპების, ბავშვთა განვითარების მამოდიფიცირებელი ფაქტორების, იმპრინტინგის მნიშვნელობის, ბიოეთიკური პრობლემათიკის, პედიატრიული ეკოლოგიის სწავლება. მონაწილეობა მიიღო მოზარ-

დთა მედიცინის ევროპაში პირველი სასწავლო კურიკულუმის მომზადებაში. მონაწილეობა მიიღო სამი საერთაშორისო სკოლა-სემინარის მუშაობაში, როგორც ლექტორმა. 4 სახელმძღვანელოს თანაავტორია. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 26 დისერტაცია (3 – მეცნიერებათა დოქტორის, 14 – მეცნიერებათა კანდიდატის, 9 – დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). უფროსკლასელებს ჩაუტარა ლექციების კურსი მეცნიერების ზოგიერთ მიღწევაზე (შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში). წაკითხული აქვს ლექციები უცხოეთის უნივერსიტეტებში: სანქტ-პეტერბურგში, ინსბრუკში, ბონში, ბერლინში, საარბრუკენში.

უშუალოდ მის მიერ და მისი მონაწილეობისა და თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კვლევების ძირითადი შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

დადგინდა, რომ

1. დედის მზრუნველობის დეპრევიაციის პირობებში ადრეული ასაკის ბავშვებში ადგილი აქვს ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენას, მომატებულ ავადობასა და სიკვდილობას, ინტელექტუალური განვითარების

ჩამორჩენას, ფსიქოპათიურ ქცევას.

2. პერსონალურ კომპიუტერზე ხანგრძლივად მუშაობისას მოზარდებში ადგილი აქვს არტერიული წნევის მომატებას, მეხსიერებისა და ყურადღების დაქვეითებას, ძილ-ღვიძილის ციკლის დარღვევებს, მომატებულ ალგზნებადობას. აღინიშნება ინფექციებისადმი მდგრადობის შემცირება.

3. კულტურალური, მიკრო- და მაკროსოციალური ფაქტორების განსხვავებული ზემოქმედება მოზარდთა ქცევისა და დამოკიდებულებების პარამეტრებზე (ინტერნაციონალურ კონტექსტში შესწავლის შედეგად).

4. ამავეროზის უფრო გვიან განვითარებისას მოზარდების ორიენტაცია როგორც ლოკომოციურ, ასევე მანიპულაციურ სივრცეში უკეთესია, ვიდრე ამავეროზის უფრო ადრე განვითარებისას.

5. ვეგეტატიური ჰომეოსტაზის დარღვევები რევმატიული ცხელების დროს; იუვენილური ჰიპერტენზიის დროს – აგრესიის მაღალი დონე; ზრდაში ჩამორჩენის დროს სახეზეა გამოკვეთილი დეპრესია, ბრონქული ასთმის დროს – ტლანქი განწყობის მომატებული სიხშირე.

6. დაბალინტენსიური ლაზეროთერაპიის ეფექტურობა მთელი რიგი დაავადებების (რესპირაციული სისტემის, ქოლესისტოპათიების, იუვენილური ჰიპერტენზიის) დროს; პრეპარატ პლაფერონის იმუნომოდულირებელი და ანთების საინიხალმდეგო მოქმედება ადრეული ასაკის ბავშვებში სასუნთქი სისტემის დაავადებებისა და კრიტიკული მდგომარეობების დროს; ბაქტერიოფაგოთერაპიის კლინიკური ეფექტურობა დიარეების დროს (ორმაგი ბრმა მეთოდით პლაცებო კონტროლირებადი კვლევის საფუძველზე); პერორალურად მიღებული ბაქტერიოფაგის გადასვლა ლიკვორსა და შარდში (პრიორიტეტული შედეგია), რითაც დასაბუთდა ამ პრეპარატის სისტემური გა-

მოყენების მიზანშეწონილობა; ბაქტერიოფაგის მოქმედების შემზღუდავი, გამანეიტრალებელი ანტიბიოტიკების წარმოქმნის თავისებურებები ადრეული ასაკის ბავშვებში; ენერგოსტიმის ეფექტურობა ასფიქსიის მკურნალობაში ახალშობილებში.

7. კლინიკური ეპიდემიოლოგია: შესწავლილი იქნა მოზარდთა ჯანმრთელობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა (საქართველოში პირველად); ვირუსული და მიკოპლაზმური ინფექციის სინშირე სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს (საქართველოში პირველად); ადაპტირებული და აპრობირებული ინსტრუმენტები ეპიდემიოლოგიური კვლევისა და პათოლოგიის შინაგანი სურათის შესაფასებლად; შესწავლილია ანტიბიოტიკების გამოყენების თავისებურებები და ტრენდები საერთაშორისო ასპექტში (საქართველოში პირველად): დადგინდა მანეჯერული ფაქტორების, კერძოდ მძიმე მეტალების მნიშვნელობა პერინატალური პათოლოგიისა და სიმსივნეების განვითარებაში.

8. ნაჩვენებია მათემატიკური მეთოდების და „არამკაფიო ლოგიკის“ მიდგომების გამოყენების მნიშვნელობა პროგნოსტიკასა და სამედიცინო გადაწყვეტილების მიღებაში („არამკაფიო ლოგიკის“ გამოყენების ნანამდღვრები იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკაში პრიორიტეტულ ხასიათს ატარებს).

9. შესწავლილი იქნა ფიზიკური განვითარების კანონზომიერებები ბავშვებსა და მოზარდებში, რაც დაგვირგვინდა საქართველოში პირველად ზრდის პერცენტილური ცხრილების შექმნით.

10. ფუნქციური ასიმეტრიის მიკრომორფოლოგიური კორელა-

ციები (დერმატოგლიფიკური პარამეტრები).

პუბლიკაციების რიცხვი – 700-ზე მეტი, ამათგან 6 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, 5 – ბროშურა. ციტირების ინდექსი აღემატება – 3000-ს.

ჰირშის ინდექსი უდრის – 16-ს, i10 ინდექსი -21-ს (სცჰოლარ.გიდ-ლე.კომ).

რეგულარულად გამოდის ტელევიზიით, რადიოთი, კითხულობს ლექციებს და აქვეყნებს სტატიებს მასმედიაში ბავშვთა და მოზარდთა განვითარებისა და ჯანმრთელობის შესახებ. ამ თემაზე დასტამბული აქვს ორი ბროშურა და ერთი მონოგრაფია (უკრაინაში). მიჰყავდა საავტორო პროგრამები საზოგადოებრივ რადიოსა და ტელეარხ „პულსზე“ – „პედატიკური ფაკულტეტი“.

მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში – როგორც წესი, ორგანიზატორის, სექციის თავმჯდომარის ან მომხსენებლის როლში. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარისა ან პრეზიდენტის რანგში ჩაატარა 20-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია (ამათგან ოთხი საერთაშორისო).

სარედაქციო მუშაობა: ყურნალების – საქართველოს სამედიცინო სიახლეები, მოზარდთა მედიცინა (იტალია), თანამედროვე პედაგოგია (უკრაინა), საქართველოს პედაგოგი, საქართველოს ბიოსამედიცინო სიახლეები – სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ყარამან ფალავას რედაქტორობით გამოქვეყნდა სამეცნიერო შრომათა 24 კრებული (აქედან 8 საერთაშორისო).

მისი რეცენზირებით მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ეგიდით ოთხი ნიგნი გამოიცა.

იყო 20-მდე დისერტაციის ოპონენტი (მათ შორის ორის აზერბაიჯანში).

1999-2003 წლებში იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი პედაგოგი.

უხელმძღვანელო 5 საგრანტო პროექტს (ამათგან 3 უცხოეთშია მოპოვებული).

ასრულებდა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობებს.

თანამშრომლობა სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან: საქართველოში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი, მორფოლოგიის ინსტიტუტი, პედატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; უცხოეთში – ლოზანას უნივერსიტეტი, შვეიცარია, გენუის უნივერსიტეტი, იტალია, ობურნის უნივერსიტეტთან, აშშ, ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია, მოსკოვის გამაღვას სახელობის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტი, რუსეთი.

პროფესიული და სამეცნიერო ორგანიზაციების წევრობა და მათთან თანამშრომლობა:

პედატიკთა ასოციაცია, მოზარდთა მედიცინის ასოციაცია, კლინიკური კვლევების ცენტრი – PRINTO (იტალია), მოზარდთა პრობლემატიკის სწავლების პროგრამის ევროპული ჯგუფი EUTEACH (შვეიცარია), ანტიბიოტიკების გამოყენების შემსწავლელი ბადე – ARPEC, იშვიათი დაავადებებისადმი მიძღვნილი ბადეები – ICORD, EPIRARE, მოზარდების, სკოლის მონაწევრების ჯანმრთელობის შემსწავლელი ბადე – HBSC, პირველადი იმუნოდეფი-





ციტების შემსწავლელი ასოციაცია – J-PROJECT.

როგორც დამოუკიდებელი მკვლევარი მუშაობს გენეალოგიურ პრობლემატიკასა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის

რჩეულ საკითხებზე (10-მდე პუბლიკაცია, სამი კრებულის ჩათვლით)

გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული სტატია ამა თუ იმ საჭირობო საკითხზე, ქართული მედიცინის სა-

ჩინო მოღვაწეებზე, პედიატრისა და ბავშვთა ფიზიოლოგიაზე, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე, კერძოდ გრაფი ფონ დერ შულენბურგის ღვანლზე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და გერმანიის მიერ ჩვენი ქვეყნის დიპლომატიური ცნობის ხელშეწყობაში.

ოთხი დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორია.

ვუსურვებთ პროფესორ ყარამან ფალავას ხანგრძლივ და ნაყოფიერ ცხოვრებას, ჯანმრთელობას და ახალ და ახალ მიღწევებს ჩვენი ერის, მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.


გიორგი ჩახუნაშვილი
მედ.მეცნ.დოქტორი,
პროფესორი,
საქართველოს დარგობრივ აკადემიათა აკადემიკოსი

ქართული პედიატრია 100 წლის

2021 წლის დეკემბერში ჩატარდა საიუბილეო კონფერენცია, სადაც პროფესორმა ბატონმა ყარამან ფალავამ საინტერესოდ წარმოადგინა მოხსენება და ვიდეოფილმი, რომელიც მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად გადმო-

ცემდა პედიატრიის 100 წლიან ისტორიას.

დიდი მადლობა ბატონ ყარამანს, რომ უზადო შრომა განია და ისტორიას შემოუნახა პედიატრების დღემდე გაწეული ჭაპანი.



პედიატრიული სკოლის დინამიკა 1921-2021



ოქროს ბუზბუმი


ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი და საზოგადოების სანიციატივო ჯგუფი გულითადად ულოცავს 2022-23 წწ-ის „ოქროს ბუზბუმის“, „ოქროს სტიპენდიის“, „ოქროს ლანცეტის“, „2022-23 წლის რჩეული საქართველოში“ კონკურსში გამარჯვებულთ:



აკაღეშვილი – დავით ალაშვილი (2022 წ.)



ოქროს სტიპენდიის



პროფესორი – ირაკლი მზებლიანი (2022 წ.)



პროფესორი – ნოდარ მშვიტიანი (2021 წ.)



პროფესორი – ყარაბაღი ზაზა (2020 წ.)



პროფესორი – არჩილ ხოშთავა (2021 წ.)



პროფესორი – ნურბაი შარი (2019 წ.)



პროფესორი – ზურაბ ტციტიანი (2018 წ.)



პროფესორი – ყარაბაღი მზებლიანი (2017 წ.)



ოქროს ლანცეტი



პროფესორი – ზურაბ ტარაბანაშვილი (2022 წ.)



ნეიროქირურგი – გურია ნურბერკერი (2021 წ.)



პროფესორი – ბიდა თოროშვილი (2020 წ.)



პროფესორი – თამარ ბაციკავა (2020 წ.)



პროფესორი – მირტა ჯანელიძე (2019 წ.)



პროფესორი – ზურბაკ ყარაბაღი (2018 წ.)



პროფესორი – რამაზ კუჭუკიძე (2017 წ.)



პროფესორი – თინათინ ხოშთავა (2019 წ.)



წლის რჩეული საქართველოში



ფეხბურთელი – ხოსთავა ფიქსია (2022 წ.)



ჩვენს გემში ქალბატონი – ელენე ხეშტანიანი (2021 წ.)



კომპანია „გოგოტის“ დამფუძნებელი – პაატა კურტანიანი (2020 წ.)



პროფესორი – პაატა კვრველაშვილი (2018 წ.)



პროფესორი – ნიკოლოზ ანდორიძე (2019 წ.)



ჩოგბურთელი – ნიკოლოზ ბასკალაშვილი (2018 წ.)



პროფესორი – გიორგი ხოსთავა (2017 წ.)

გულითადი მილოცვა ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციისა და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ძვირის სიგელების მფლობელთ:



საემიგო თავდაღებისათვის



„საქემიო თავდაღებისათვის“ მედიკოსი პროფესორი – ვიქტორ პროშვილი (2023 წ.)



„ღვაწლმოსილი გეორგიანი“



მედ.მეცნიერ.პროფესორი – ყარაბაღი ზაზა (2023 წ.)